სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 8 ნოემბერი 2005 №257 (2580) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქინქლაძე არა, ცქიტიშვილი არა

საქართველოს ნაკრებმა საბულგარეთო მინუსები დათვალა

ყაზანის „რუბინის“ ნახევარმცველი გიორგი ქინქლაძე გუშინწინ მოსკოვის „ტორპედოსთან“ მატჩისას დაშავდა და დღეს შეკრებილ საქართველოს ნაკრებსაც დააკლდება. ეს ამბავი გუშინ, სამედიცინო შემოწმებისას გაირკვა — ყაზანელი ექიმების თქმით, ქინქლაძეს კუნთი აქვს დაჭიმული და ათდღიანი მკურნალობა სჭირდება.

— სამწუხაროდ, შეკრებაზე ვერ ჩამოვალ. კუნთი „ტორპედოსთან“ მატჩის დაწყებისთანავე ვიტკინე, მაგრამ თამაში გავაგრძელე და მეორე ტაიმში შემცვალეს — გვითხრა გუშინ გიორგი ქინქლაძემ — ვიფიქრე, ტრავმა სერიოზული არ უნდა იყოს-მეთქი, თუმც ექიმებმა ათდღიანი მკურნალობის კურსი დამინიშნეს, კუნთი დაჭიმული ყოფილა და დატვირთვა არ შეიძლება. ძალიან კი მსურდა საქართველოს ნაკრებში, თანაც ბულგარეთთან თამაში, მაგრამ...

— 16 ნოემბრამდე, იორდანიასთან მატჩამდე ვერ მომჯობინდები?

— ათი დღე უნდა დავისვენო და ისიც არ ვიცი, რუსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში თუ ვითამაშებ.

— ისე, „რუბინმა“ უეფას თასის საგზური უკვე მოიპოვა და ამ გუნდთან კონტრაქტის გაგრძელებას თუ აპირებ?

— კლუბის ხელმძღვანელებს სამომავლო ამბებზე მოსალაპარაკებლად ხვალ-ზეგ შევხვდები.

შეგახსენებთ, რომ გიორგი ქინქლაძემ საქართველოს ნაკრებში ბოლოს თებერვალში, ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში ითამაშა...

გუშინვე გაირკვა ისიც, რომ შეკრებაზე ვერ ჩამოვა ლევან ცქიტიშვილიც — გერმანული „ვოლფსბურგის“ ნახევარმცველს ძველი ტრავმა გაუმიზეზდა.

ძოზა ინასარიძე

დარსაძე გეგუჩაძეს ბოსკამპთან არ უშვებს

რატომ ვერ მიდის ქართველი მწვრთნელი ინგლისურ სტოკ სიტიში



...იოჰან ბოსკამპი „სტოკ სიტიში“ წინა სეზონის შუაწელში მივიდა და მაშინვე ჩამომიგდო სიტყვა იქ ჩემ შესაძლო წაყვანაზე. ახლა კი, როცა ბოსკამპმა „სტოკში“ მყარად მოიკიდა ფეხი, ერთხელაც დამიკავშირდა და სამსახური შემომთავაზა...

...უეფადან გვაცნობეს, რომ მე ლიცენზიის კურსები უნდა გამევლო ან ჩემი კომპეტენტურობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უნდა ეღიარებინა და სალიცენზიო კურსების გავლის გარეშე ამელო B ლიცენზია...

...მას შემდეგ ფედერაციაში ყველაფერი აირ-დაირია, ხელმძღვანელობა შეიცვალა, მწვრთნელთა ლიცენზირების საქმეს კი კვლავ გაიოზ დარსაძე განაგებს, ვინც დღეს არ აღიარებს ჩემს კომპეტენციას B ლიცენზიისთვის...

...როცა განუგრავა და გოცირიძე „დინამოში“ ისინჯებოდნენ, მათმა რეკომენდატორმა პირობა შემომითვალა, ორივე უნდა აიყვანო „დინამოში“ და ისინი ძირითადში ათამაშოო...

...დარსაძემ პიროვნული სამპათია-ანტიპათიით არ უნდა იხელმძღვანელოს, როცა ამა თუ იმ მწვრთნელის კომპეტენციის აღიარებით მისთვის ლიცენზიის მინიჭების საკითხი წყდება...

...რაც მეტი ძლიერი მწვრთნელი იქნება, მით უკეთესია და მათთან კონკურენციაში უნდა დაამტკიცო, რომ უკეთესი ხარ, თორემ წინსვლის საშუალება არავის მისცე და ყველგან მარტო შენ იყო, ასეთ პირველობას ფასი არ აქვს.

მესამე გვერდი

გუშინ დულელიძეებისა ფოტო

ნაკრებმა ცას ახედა

პრობლემა: ფვიმეები და ტრავმეები

საქართველოს ნაკრები 12 ნოემბერს სოფიაში ბულგარეთთან და 16-ში შინ იორდანიასთან ამხანაგური მატჩებისთვის მოსამზადებელ შეკრებას დღეიდან დაიწყებს. მწვრთნელმა გაიოზ დარსაძემ დღევანდელი სათასო მატჩებისთვის ქართული კლუბების არც ერთი ფეხბურთელი არ გაათავისუფლა და ლეგიონერებთან ერთად მათ მომზადებასაც ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე შეუდგება. კახა კალაძე, გიორგი დემეტრაძე და ნაკრებში გამოძახებულ ლეგიონერთა უმეტესობა უკვე თბილისშია, „ფრაიბურგის" კაპიტანი ალექსანდრე იაშვილი კი, რომელსაც ეროვნული გუნდის ხელმძღვანელებთან უთანხმობა ჰქონდა, დღეს ჩამოვა.

სად ივარჯიშებს ნაკრები, ხელმძღვანელობას ჯერ ვერ გადაუწყვეტია — მზადების გრაფიკი ამინდზე ყოფილა დამოკიდებული.

იმ 25 ფეხბურთელიდან, რომლებიც ამხანაგური მატჩებისთვის იხმეს, მწვრთნელი ბულგარეთში ვერ იახლებს ჰოლანდიური „ტვენტეს" გოგა გახოკიძეს. ეს ამბავი თუ ადრევე ვიცოდით, გუშინ გაირკვა, რომ ნაკრებს დააკლდებიან „კიოლნთან" შაბათის მატჩისას ტრავმაგამიზეზებული ვოლფსბურგელი ლევან ცქიტიშვილი და ყაზანის „რუბინის" ნახევარმცველი გიორგი ქინქლაძე, რომელიც გუშინწინ მოსკოვის „ტორპედოსთან" შეხვედრისას დაშავდა.

მოკლედ, ჯერჯერობით გაიოზ დარსაძეს სასურველთაგან სამი ფეხბურთელი დააკლდა, ხოლო დანარჩენთაგან ბულგარეთში ვის წაიყვანს, ამ ორ დღეში გაირკვევა.

ჩვენები სოფიაში პარასკევს გაემგზავრებიან, მატჩი კი შაბათს, ადგილობრივი დროით სამ საათზეა დანიშნული.

კოგა ინასარიძე

კობა წიტაიშვილმა სოხუმის „დინამოს" ბუცები და ფორმა აჩუქა

კლიმენტა წიტაიშვილმა (მარცხნივ) სოხუმელებს დახმარების ხელი გაუწოდა

ბევრი თქმულა იმის შესახებ, თუ რა სირთულეები აქვს სოხუმის „დინამოს" — საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის დებიუტანტს. შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და სათანადო მომზადებისთვის კლუბს სჭირდებოდა სერიოზული მხარდაჭერა. თავიდან გუნდს ძალიან გაუჭირდა, თუმცა საკმაოდ რყო დაპირებები. კლუბის ხელმძღვანელების მუშაობის შედეგად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, რამდენიმე ორგანიზაციისა და კერძო პირების მეშვეობით მოხერხდა პრობლემების ნაწილის მოგვარება, თუმცა არაერთი საკითხი ჯერაც გადასაწყვეტია. კერძოდ, გუნდს არ ჰყავს ავტობუსი ან მიკროავტობუსი, არ არის მოგვარებული ოქტომბერ-ნოემბრის ხელფასების საკითხი. კლუბის ხელმძღვანელობა აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით და არის იმედი, რომ „მალე ხელფასების საკითხი მოგვარდება.

რამდენიმე ჩვენმა თანამემამულემ თავისი ინიციატივით ძალიან საჭირო დახმარება გაუწია „დინამოს". ერთ-ერთი მათგანია ზუგდიდში დაბადებულ-გაზრდილი ფეხბურთელი კობა წიტაიშვილი. მან 15 წლისამ ზუგდიდის „ოდიშის" შემადგენლობაში სადებიუტო თამაში ჩაატარა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, შემდგომ თამაშობდა თბილისის „შევარდენში", თსუ-სა და „დინამოში", ფოთის „კოლხეთში", ისრაელის „მაკაბიში", ხოვოროსიისკის „ჩერნომორეცში". იყო საქართველოს ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრებების წევრი. ბოლო ორი წელია, კვიპროსის „ანართოსისში" თამაშობს და თავისი წვლილიც შეაქვს მის წარმატებებში.

შეიტყო რა სოხუმის „დინამოს" პრობლემები, კობამ თავისი დანაზოგიდან კლუბს შეუძინა და აჩუქა თერთმეტი წყვილი ბუცი და სათამაშო ფორმის კომპლექტი. „მე ცხოვრებაში ბევრი გაჭირვება მინახავს, თავის დროზე რამდენიმე კეთილმა ადამიანმა, მათ შორის სოხუმელმაც, დახმარება გამიწია. კარგად ვიცი გაჭირვების და მხარდაჭერის ფასი და ამიტომ ვადავწყვიტე დახმარება გამეწია სოხუმის „დინამოსთვის" — გვითხრა კობა წიტაიშვილმა.

კლუბის სახელით უღრმეს მადლობას ვუხდით კობას დიდსულოვნებისთვის. მის დახმარებას ჩვენთვის ორმაგი დატვირთვა აქვს — მორალურ-ფსიქოლოგიური და პრაქტიკული. მისი საჩუქარი გვაძლევს საშუალებას, ნაწილობრივ მოვაგვაროთ გუნდის ეკიპირების პრობლემა, კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ამ ფორმებით და ბუცებით ფეხბურთელები ჩემპიონატის მეორე წრეში ითამაშებენ.

თენგიზ პაჭკორია,
სოხუმის „დინამოს" პრეს-ატაშე

დავით ყიფიანის თასი

მერვედფინალი. პირველი მატჩები

იმერულის მცხეთური-გაგრაძალება

„ბულგარეთ-იორდანიასთან სანაკრებო მატჩებამდე საათასო შერკინებებით შევიქცევთ თავს. დღეს მერვედფინალის პირველი მატჩებია და თასს რომ ცოტა განსხვავებული სპეციფიკა აქვს და სენსაციები უყვარს, შარშანდლიდანაც გეხსომებათ: მომავალმა ჩემპიონმა „დინამომ" სწორედ მერვედფინალში დაყარა ფარ-ხმალი.

ყველაზე თანაბარი წყვილი, ალბათ, „ბათუმი" — „კოლხეთია". ოთარ გაბელიას გუნდს შინ ჰანდიკაპით მოგება მართებს, თორემ ფოთში თამაში რა „იოლიცაა", აგერ, ჩემპიონატიდანაც ჩანს. „ამერს" პრობლემები არ უნდა შეექმნას „გაგრასთან", მით უმეტეს, გლდანელებს „ძეშაქრეს" მაგალითი უდევთ წინ, როცა წინა ეტაპზე აგარელებთან შინ წააგეს და სტუმრად დასჭირდათ თავის გამოდება.

ახლა მცხეთაში გადაეყრებიან ერთმანეთს „ვიტ ჯორჯია" და „ტორპედო", რომელთა შაბათის ქუთაისურმა მატჩმა შფოთი და არეულობა შვა. ფავორიტი ამ წყვილს მაინც ჰყავს — ვიტელები მშვენიერ ფორმაში არიან და „ტორპედოს" დაცვამ ოთარ მარცვალაძის გაჩერებაზე უნდა იზრუნოს.

დღესვე „მაღალ ინსტანციაში" ვნახავთ პირველი ლიგის ლიდერ „ჩიხურას". ვნახოთ, რას შეპბედავენ საჩხერელები თბილისის „დინამოს"...

შეგახსენებთ, მერვედფინალის საპასუხო მატჩები 22-23 ნოემბერს გაიმართება.

თბილისი. 8 ნოემბერი. 14 საათი. ამერი

ამერი — გაგრა

მსაჯები: ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ა. გუნთაძე (ლანჩხუთი); ა. მეშკოვი (თბილისი); **ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

ბორჯომი. 8 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური

ბორჯომი — სოხუმი

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; გ. ვადაჭკორია (სამივე თბილისი); **ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

თბილისი. 8 ნოემბერი. 14 საათი. ეროვნული

დინამო — ჩიხურა

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), დ. ხარიტონაშვილი; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი); **ინსპექტორი:** ნ. კაკულია

თბილისი. 8 ნოემბერი. 14 საათი. შევარდენი

სპარტაკი — ზესტაფონი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ნ. რუსიშვილი, კ. გაბრიაძე (სამივე ქუთაისი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); **ინსპექტორი:** ე. სილაგავა

ბოლნისი. 8 ნოემბერი. 14 საათი. თამაზ სტეფანია

სიონი — მესხეთი

მსაჯები: გ. ასკაროღლი (ქარელი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი); **ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა

ბათუმი. 8 ნოემბერი. 14 საათი. დინამო

ბათუმი — კოლხეთი

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. დოგრაშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); **ინსპექტორი:** ვ. ეჯიბია

თბილისი. 8 ნოემბერი. 14 საათი. მიხეილ მესხი

ლოკომოტივი — თბილისი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ხ. გაგნიძე (გორი), ზ. ფიფია (გალი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი); **ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

მცხეთა. 8 ნოემბერი. 14 საათი. არმაზი

ვიტ ჯორჯია — ტორპედო

მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ზ. ანიაშვილი (გორი); **ინსპექტორი:** მ. ჭელიძე

გერმანია
II ბუნდესლიგა. XII ტური
ალემანია 2:1 ბრაუნშვაიგი

ინგლისი
პრემიერლიგა. XII ტური
ბოლტონი 1:0 ტოტენჰემი

საბერძნეთი
ნაციონალლიგა. IX ტური
ეგალეო 1:1 ირაკლისი

საფრანგეთი
II დივიზიონი. XV ტური
კაენი 0:0 მონპელიე

იტალია
სერია B. XIV ტური
მოდენა 0:0 ვიჩენცა
სერია C/B
X ტური
ფროსინონე 4:1 პერუჯა

ჩეხეთი
გამბრინუსლიგა. XII ტური
პრუნიბრამი 2:2 ლიბერეცი

ირლანდია
პრემიერლიგა. XXXI ტური
შემროკი 0:2 კორკი

უკრაინა
უმაღლესი ლიგა. XV ტური
კრივბასი 2:2 დნიპრო
შახტარი 0:1 დინამო

გაიოზ დარსაძე ჩემს კომპეტენციას არ აღიარებს

შესაძლოა, ეს იმის ბრალია, რომ გოცირიძე და განუგრავა დინამოში არ ავიყვანეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის „დინამოს" ყოფილ მწვრთნელს მისი ძველი ნაცნობი და ასევე თბილისის „დინამოს" ყოფილი მწვრთნელი სამუშაოდ ბრიტანეთში, ინგლისის ჩემპიონატში იწვევს — „სტოკ სიტის" ჰოლანდიელი თავკაცი იოჰან ბოსკამპი გია გეგუჩაძეს თავისთან სთავაზობს სამსახურს... გეგუჩაძეს ინტერვიუ გუშინ ჩამოვართვით და მისი „სტოკში" შესაძლო მისვლის გარდა სხვა საინტერესო თემებზეც ვისაუბრეთ, შედეგად, ვერც ნოდარ ახალკაცს და გაიოზ დარსაძეს ავუქციეთ გვერდი... დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტრიაში ევროსარბიელზე საუკეთესო შედეგი თბილისის „დინამოს" გია გეგუჩაძის ხელში ჰქონდა, მაგრამ დღეს გეგუჩაძეს არც სამსახური აქვს და არც სამწვრთნელო ლიცენზია — ცხადია, ქვემორე ინტერვიუ ამ საკითხსაც მოიცავს...

— ბოსკამპი „სტოკში" წინა სეზონის შუაწელში მივიდა და მაშინვე ჩამომიგდო სიტყვა იქ ჩემ შესაძლო წაყვანაზე. ახლა კი, როცა ბოსკამპმა „სტოკში" მყარად მოიკიდა ფეხი, ერთხელაც დამიკავშირდა და სამსახური შემომთავაზა. მთავარი დაბრკოლება ჩემთვის ახლა სამუშაო ვიზაა, რომლის აღება არაევროკავშირელისთვის ძალიან რთულია და ყველაფერი ეს თვითონ ბოსკამპმაც მითხრა. ერთი სიტყვით, ვიზას ველი.

— ვიზის გარდა ინგლისის ჩემპიონატში სამუშაოდ შესაბამისი სამწვრთნელო ლიცენზიაცაა საჭირო...

— თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, მე „სტოკის" მეორე გუნდში სამუშაოდ მოვიაზრები და ლიცენზია მაინც აუცილებელია. დრო კიდევ მაქვს, იმედია, იანვრამდე ყველა ფორმალობას მოვაგვარებ.

— ანუ ლიცენზიას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან აიღებთ?

— როცა თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი ვიყავი, უეფაში ჩემი CV გავაგზავნე და თან შეკითხვაც დავურთე — რა გზებით შემეძლო ლიცენზიის აღება. უეფადან გვაცნობეს, რომ მე ლიცენზიის კურსები უნდა გამევლო ან ჩემი კომპეტენტურობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უნდა ეღიარებინა და სალიცენზიო კურსების გავლის გარეშე ამეღო B ლიცენზია. უეფადან ისიც გვაცნობეს, რომ ჩემი CV ამის საშუალებას იძლეოდა. ეს ყველაფერი მაშინდელი ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას ვუთხარი და მან სიტყვიერი თანხმობა მომცა, B ლიცენზიას მოგცემთო. მაგრამ ამის შემდეგ ფედერაციაში ყველაფერი აირ-დაირია, ხელმძღვანელობა შეიცვალა, მწვრთნელთა ლიცენზირების საქმეს კი კვლავ გაიოზ დარსაძე განაგებს, ვინც დღეს არ აღიარებს ჩემს კომპეტენციას B ლიცენზიისთვის. სხვა ქვეყნებში არის იმის მაგალითები, რომ B და A სალიცენზიო კურსების გაუვლელად, კომპეტენციაზე დაყრდნობით, მწვრთნელს პროფლიცენზიისთვის ამზადებენ. რევაზ ძოძუაშვილის მაგალითს მოვიყვან — ვფიქრობ, არ შეიძლება, რომ ის დამწყებ მწვრთნელებთან ერთად დასვა ლიცენზირების კურსებზე.

— და რას აპირებთ? თუ საქართველოში B ლიცენზიის კურსებზე არ ივლით, „სტოკში" სამუშაოდ აუცილებელ ლიცენზიას როგორ მოიპოვებთ?

— ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ჯირას კონვენციის რომელიმე ქვეყანაში წავალ ლიცენზიის ასაღებად. ჩემთვის ახლა მთავარი ბრიტანეთის სამუშაო ვიზაა და თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება, ლიცენზიის აღება დიდი პრობლემა არ უნდა გახდეს.

— ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი თუ ჩააყენეთ საქმის კურსში თქვენი კომპეტენციის აღიარების თაობაზე?

— უეფადან „დინამოში" მოსული ზემოხსენებული პასუხის დედანი მე არ გამაჩნია, ის კლუბში უნდა ინახებოდეს და მე ახალკაცს ამ პასუხის ნათარგმნი ტექსტი მივაწოდე, თუმც საქმე ამის იქით აღარ წასულა.

— სანამ ახალკაცი ფედერაციის პრეზიდენტი, ხოლო დარსაძე ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდებოდა, თქვენ მიერ გაწვრთნილ „დინამოში" დარსაძის ფავორიტების, ბექა გოცირიძის და გიორგი განუგრავას აყვანის საკითხი განიხილებოდა, მაგრამ „დინამოში" ვერცერთი მოხვდა — როგორ გგონიათ, ეს არის იმის მიზეზი, დარსაძე თქვენს კომპეტენციას რომ არ აღიარებს B ლიცენზიის მოსაცემად?

— შესაძლოა, ასეც იყოს. როცა განუგრავა და გოცირიძე „დინამოში" ისინჯებოდნენ, მათმა რეკომენდატორმა პირობა შემომითვალა, ორივე უნდა აიყვანო „დინამოში" და ისინი ძირითად შემადგენლობაში ათამაშოო. მე კი მხოლოდ განუგრავას აყვანა მსურდა, მაგრამ სხვისი კარნახით მას ძირითადში ვერ დავაყენებდი, ძირითადში თამაში ფეხბურთელმა თვითონ უნდა დაიმსახუროს.

— სანამ ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია დარსაძეს მწვრთნელთა მომზადების ხელმძღვანელად დანიშნავდა, ამ თანამდებობაზე თქვენი კანდიდატურაც განიხილებოდა...

— საამისოდ მე მალტაშიც გავლდით სემინარზე და იქ ამ საკითხთან დაკავშირებით საგანგებოდ ვესაუბრე ჯირა პანელის ხელმძღვანელ მიშელ საბლონს. მოკლედ, ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ, როგორც კი გაირკვა, რომ ამ პროექტს სათანადო დაფინანსება არ ექნებოდა, უარი ვთქვი ამ თანამდებობაზე. მოგვიანებით კი ეს პროექტი უეფამ დააფინანსა და მწვრთნელთა მომზადების ხელმძღვანელად ჟორდანიამ დარსაძე დანიშნა. უნდა ითქვას, რომ დარსაძე ამ საქმეს მართლაც კარგად უძღვება, მაგრამ მან პიროვნული სიმპათია-ანტიპათიით არ უნდა იხელმძღვანელოს, როცა ამა თუ იმ მწვრთნელის კომპეტენციის აღიარებით მისთვის ლიცენზიის მინიჭების საკითხი წყდება.

— და თქვენ რამდენად კომპეტენტურად მიგაჩნიათ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის თექვსმეტგუნდა უმაღლესი ლიგა?

— ჩვენ არ გვყავს 16 გუნდისთვის საჭირო კვალიფიციური ფეხბურთელები, უმაღლესი ლიგის უმეტეს გუნდებს არ გააჩნიათ სათანადო ინფრასტრუქტურა და ფინანსები — უმაღლეს ლიგაში უნდა გვქონდეს ხარისხი, მასობრიობა კი უმაღლესი ლიგისთვის ძიულებელია, მასობრიობა უნდა იყოს ბავშვთა ფეხბურთში. ჩვენთან მიმდინარეობს უმაღლესი ლიგის კლუბების ლიცენზირება, რისთვისაც კლუბს ასაკობრივ ლიგებშიც უნდა ჰყავდეს გუნდები, მაგრამ ხშირად ამ კლუბების სახელით სხვადასხვა საფეხბურთო სკოლის გუნდები თამაშობენ. რატომ არ აქცევს ამას ყურადღებას ფედერაცია?

— ეროვნული ნაკრების ეგრეთ წოდებულ გაახალგაზრდავებაზე რას იტყოდით?

— სანამ ამ კონკრეტულ საკითხზე მოგახსენებდეთ, ის უნდა ვთქვა, რომ ფეხბურთის განვითარებისთვის მხოლოდ ნაკრებებში მუშაობა არ კმარა, მხოლოდ ნაკრებებზე აქცენტირება შედეგს არ მოგვიტანს. ეროვნულ ჩემპიონატს სათანადო იურიდიული ბაზა უნდა გააჩნდეს. თუ ვინმე პირობებს და ვალდებულებებს არ ასრულებს, მის მიმართ შესაბამისი სანქციები უნდა გატარდეს და ყველაფერ ამას ფედერაცია უნდა აკონტროლებდეს.

— და ეროვნულ ნაკრებში სამი 17 წლის ფეხბურთელი რომაა გამოძახებული, ეს ნორმალურია?

— იყო დრო, თბილისის „დინამოს" დუბლების თამაშებზე უფრო მეტი მაყურებელი დადიოდა, ვიდრე პირველი გუნდისაზე, რადგან მაშინ „დინამოს" დუბლებში უმცროსი მიშა მესხი და სხვა ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელები თამაშობდნენ. თუმც სანამ ისინი ბოლომდე არ ჩამოყალიბდნენ ფეხბურთელებად, პირველი გუნდის ძირითადში არ აყენებდნენ. ეროვნულ ნაკრებში საუკეთესოები უნდა თამაშობდნენ და პროცესების დაჩქარება საჭირო არაა, გამონაკლისები მაშინ დაიშვება, თუ ვინმე ვუნდერკინდი გამოჩნდება.

— როგორ ფიქრობთ, ამ მომენტისთვის და ამ ვითარებაში უნარიან ახალგაზრდა ქართველ მწვრთნელებს რა პერსპექტივა აქვთ?

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართულ ფეხბურთში კონსოლიდაციისკენ გადაიდგას ნაბიჯები. კარგია, რომ ფედერაციამ პოლიტიკა შეცვალა და ერთიანობისკენ გადადგა ნაბიჯი, მაგრამ თუ ერთიდაიგივე მწვრთნელი რამდენიმე გუნდში იმუშავებს, ეს ეფექტური არ იქნება. მაგალითად, ყველამ კარგად ვიცით, რომ გიორგი დევდარიანი ნიჭიერი ახალგაზრდა მწვრთნელია, მაგრამ რატომ არ შეიძლება, რომ მან ერთ-ერთი ასაკობრივი ნაკრები გაწვრთნას? მწვრთნელებსაც ხომ სჭირდებათ დაწინაურება და წინსვლა?! ფეხბურთელების გარდა მწვრთნელებიც ხომ უნდა გავზარდოთ?! გაიოზ დარსაძემ ლიცენზია დაახლოებით 170 მწვრთნელზე გასცა, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთია კარგი მწვრთნელი? მათგან მხოლოდ ერთმა უნდა იმუშაოს რამდენიმე გუნდში? რაც მეტი ძლიერი მწვრთნელი იქნება, მით უკეთესია და მათთან კონკურენციაში უნდა დაამტკიცო, რომ უკეთესი ხარ, თორემ წინსვლის საშუალება არავის მისცე და ყველგან მარტო შენ იყო, ასეთ პირველობას ფასი არ აქვს.

დავით თავართქილაძე

თქვენი ინტერვიუ

ნოდარ ახალკაცთან

რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი იქნება.

კითხვები 8 ნოემბრამდე მოგვაწოდეთ და პრეზიდენტთან თქვენს ინტერვიუს არაუგვიანეს 11 ნოემბრამდე გამოვაქვეყნებთ. ერთი სიტყვით, იაქტიურეთ.

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
ეროვნული საფინანსო

საქართველოს XVII ჩემპიონატში

უმაღლესი ლიგა
პირველი წრე

12 ტურის მიმოხილვა

ქუთაისური ზლაბზაუმი

სიონმა ახალ პატრონს სიონი დააჯერა

შედარებით იოლად პროგნოზირებადი ტური გველისო, ვწერდით და არც შევმცდარვართ — მხოლოდ ერთმა მატჩმა მოიტანა მცირე სენსაცია. ისე, სადღაც მეხუთე-მეექვსე ტურებიდან დავაკვირდით: ლიდერ-აუტსაიდერები უკვე გამოიკვეთნენ, ცალი ფეხით მოგებებიც გახშირდა და გული გვიგრძნობს, ანი უფრო გახშირდება...

ტურის მთავარ მატჩში დავით ბოლქვაძის (მარჯვნივ) „სიონმა“ დავით ბაქრაძის „ბორჯომს“ 1:0 სძლია

ფოტო: ალექსანდრე ბურკაძის

ტურის ცენტრალურ თამაშში „სიონმა“ ჯაბა დვალის ეფექტური თავურით მოუგო „ბორჯომს“, რამაც ბოლნისელები უფრო მიაახლოვა ლიდერობას, ბორჯომელები კი მეექვსე ადგილზე დააქვეითა. რვა ყვითელი და ერთი წითელი ბარათი — ოქმიც ლაპარაკობს თამაშის დაძაბულობაზე, „სიონი“ კი ერთადერთია უმაღლესი ლიგის თექვსმეტეულიდან, შინ ქულა რომ არ დაუკარგავს.

და კიდევ, „სიონი“ ახალი პატრონის ხელშია და ამბობენ, კლუბში ფული ხვინჭასავით დაიყრებაო. ვნახოთ, ღმერთმა ქნას...

შფოთი იყო ქუთაისში, სადაც ამ სეზონში პირველად გადმოიყარა მოედანზე ნაირ-ნაირი საგნები. ქუთათური ქომაგები მსაჯ ალექსანდრე კრიჭაშვილს ემუქრებოდნენ და ნამატჩევს კი 20 წუთიც არ უშვებდნენ გასახდელში.

და აი, რა მოხდა: „ტორპედო“ აშკარად სჯობდა ლიდერ „ვიტ ჯორჯიას“, 2:1 უგებდა და, ქომაგების აზრით, კრიჭაშვილმა გამოგონილი პენალტი დანიშნა მათ კარში. მოკლედ, ვიტელები ქულასლა გამორჩნენ და ცხრამატჩიანი მოგებათა სერია ვეღარ დაამრგვალეს — შედეგად, ცხრილის ზედა ნაწილიც უფრო ჩაიხლართა.

ორტურიანი უბარაქობის შემდეგ „ლოკომოტივმა“ 3:0 გაანადგურა „ცხინვალი“, ხოლო „ამერმა“ მოკრძალებული 1:0 იკმარა „სპარტაკთან“. გლდანელებს ბარე ბევრჯერ ჰქონდად გასატანი, მაგრამ ბოლო წუთზე აქეთ გადაურჩნენ გოლს. ამერელებმა სეზონში მერვედ მოიგეს და აქედან ექვსჯერ ანგარიშით 1:0.

კვლავ იმარჯვა „დინამომ“ და „ამერთან“ ერთად მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფს. კახა ცხადაძის ბიჭებმა 70 წუთი ამაოდ ულიცლიცეს „დილას“ კარს, მერე კი გასაკეთებელი გააკეთეს და ლიდერებს სათოფეზე მიუახლოვდნენ.

„ბათუმის“ თავკაცმა ოთარ გაბელიამ კი ჩვეულება გაიხსენა და მსაჯებს გაჰკრა კბილი, ზესტაფონელმა ზურაბ იონანიძემ თამაშგარედან გაგვიტანაო. მთლიანობაში, ზღვისპირეთში საფრეო თამაში იყო და ასეც დამთავრდა, ფეროელები კი ნელ-ნელა ფერზე მოდიან — ბოლო სამი თამაშია, არ წაუგიათ, მაგრამ არა გვგონია, ეს ისეთი ნათელი ფერი იყოს, „ზესტაფონის“ ამბიციებს რომ შეეფერებოდეს.

პრინციპული თამაში მოიგო „სოხუმმა“ და ათქულიან თამასას უწია, „კახეთი“ კი ტრადიციას აგრძელებს — შინ იგებს, სტუმრად აგებს, თანაც, სულერთია, ვის ეთამაშება.

კახურად იქცევა ფოთის „კოლხეთიც“, რომელმაც მაჩანჩარა „თბილისი“ გამოიჭირა. კოლხთა მეგოლე ზვიად ქუთათელაძე გადაეჩვია ხელობას, სამაგიეროდ, მას გიორგი კრასოვსკი შეენაცვლა და ზედიზედ მესამე თამაშში გაიტანა.

„თბილისი“ კი ევროპული ეროვნული ჩემპიონატების ანტირეკორდზე მიდის — 12 თამაშში ქულა არ აუღია და როდემდე გაგრძელდება ასე, კაცმა არ იცის. ოუმცაღა თბილისელთა თავკაცმა გიორგი დევდარიანმა თქვა, „კოლხეთთან“ ჩემი ბიჭების პროგრესი დავინახე, ამდენი საგოლე მომენტი ჯერ არ გვქონია და მომდევნო თამაშებს იმედიანად ვუყურებო. დასტურ, ასე იყოს — ფეხზე ცხვარგამობმული გუნდის ყურება არავის სიამოვნებს...

ილია ნანოგაფშვილი

სიმბოლური ნაკრები

- ჯაბა დვალი (სიონი)
- ავთანდილ ფოფხაძე (ტორპედო)
- ლაშა ნოზაძე (დინამო)
- ალექსანდრე კოშკაძე (ამერი)
- გიორგი დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია)
- ლევან ხმალაძე (სიონი)
- კობა შალამბერიძე (ტორპედო)
- თენგიზ ჩიკვილაძე (სიონი)
- ვახტანგ ხვადაგიანი (ამერი)
- ზვიად ჯელაძე (სოხუმი)
- ლადო ნადირაშვილი (ამერი)

გუნდი: სიონი
მწვრთნელი: რევაზ ბურკაძე

ბომბარდირები

11-მარცვალაძე	ვიტ ჯორჯია
9-დვალი	სიონი
7-ქუთათელაძე	კოლხეთი
6-ქორიძე	ბორჯომი
5-ეფგრელაძე	დინამო
დოლიძე	სიონი
მიკუჩაძე	სიონი
იაშვილი	დინამო

ვიტ ჯორჯია	12	9	2	1	28:9	29
სიონი	12	9	1	2	23:10	28
ლოკომოტივი	12	8	3	1	18:3	27
დინამო	12	8	1	3	18:6	25
ამერი	12	8	1	3	13:7	25
ბორჯომი	12	8	0	4	23:10	24
ბათუმი	12	6	2	4	12:9	20
კოლხეთი	12	6	0	6	13:13	18
ზესტაფონი	12	5	3	4	10:11	18
დილა	12	5	0	7	15:14	15
კახეთი	12	5	0	7	12:18	15
ცხინვალი	12	3	1	8	7:21	10
სოხუმი	12	3	1	8	11:27	10
ტორპედო	12	2	4	6	8:13	10
სპარტაკი	12	1	1	10	2:20	4
თბილისი	12	0	0	12	4:25	0

სტადიონი	მატჩი	მინდვრის მდგომარეობა	ორგანიზაცია	დასწრება	საშუალო ბალი
„ტორპედო“ ქუთაისი	ტორპედო 2:2 ვიტ ჯორჯია	8,5	7,0	9,0	8,1
„ამერი“ თბილისი	ამერი 1:0 სპარტაკი	9,0	8,0	5,5	7,5
„თამაზ სტეფანია“ ბოლნისი	სიონი 1:0 ბორჯომი	8,0	7,5	5,5	7,0
„დინამო“ ბათუმი	ბათუმი 2:2 ზესტაფონი	6,0	6,0	7,0	6,3
„თენგიზ ბურჯანაძე“ გორი	დილა 0:2 დინამო	6,5	6,5	4,0	5,6
„მიხეილ მესხი“ თბილისი	ლოკომოტივი 3:0 ცხინვალი	7,5	6,5	2,0	5,3
„შევარდენი“ თბილისი	სოხუმი 2:0 კახეთი	6,5	6,5	0,5	4,5
„ფაზისი“ ფოთი	კოლხეთი 2:1 თბილისი	6,0	3,5	3,0	4,1

მომდევნო ტური

13 ნოემბერი, კვირა

კახეთი – ამერი
თბილისი – სოხუმი
ზესტაფონი – კოლხეთი
დინამო – ბათუმი
ცხინვალი – დილა
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
ბორჯომი – ტორპედო

14 ნოემბერი, ორშაბათი

სპარტაკი – სიონი

ქართველები უცხოეთში

მალხაზ ასათიანი „ლოკომოტივს“ გოლით შეეწია

ასათიანის ათიანი

არველაძეს მეკარემ გაუთანაბრა

შოთა არველაძე, მალხაზ ასათიანი და ირაკლი მოდებაძე — აი, ის სამი ქართველი, რომლებმაც ამ უქმეებზე გოლები გაიტანეს, თუმცა ამათ გარდა სხვა ლეგიონერებზეც მოგითხრობთ...

„ალკმაარმა“ დასანანი ქულები დაკარგა შინ „ჰერაკლესთან“, არადა, 2:0-ს იგებდა. ჯერ როჯერ სეკტიუმ გაიტანა *შოთა არველაძის* პასით, მერე კი ჩვენებურმა თავადაც შეაგდო და თერთმეტ მატჩში თორმეტი გოლი მოუგროვდა. სტუმრებმა მეორე ტაიმში იძალეს, ანგარიში კი 90-ე წუთზე „ჰერაკლესის“ მეკარემ გაათანაბრა — მარტინ პიკენჰაგენი ვა-ბანკზე წასვლას არ მოერიდა, კუთხურისას შეტევაში ჩაერთო და...

წარმატებული ტური ჰქონდა მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივს“. რკინიგზელებმა გროზნოს „ტერეკს“ 3:0 მოუგეს და სეზონში მეორე გოლი გაიტანა ასათიანმა, ვინც რუსმა ჟურნალისტებმა ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს. სხვათა შორის, ასეთი პატივი მალხაზს 29 ტურში უკვე მეათედ ერგო.

მოიგო ყაზანის „რუბინმაც“ და უეფას თასის საგზურიც გაინაღდა. მოსკოვის „ტორპედოს“ წინააღმდეგ ქართველთაგან მხოლოდ *გიორგი ქინქლაძემ* ითამაშა, მატჩი კი 5:1 დასრულდა ყაზანელთა სასარგებლოდ.

ტრავმამოშუშებული ირაკლი მოდებაძე მწვრთნელმა, ისევე, როგორც წინა ტურში, ამჯერადაც 9 წუთით შეუშვა მოედანზე და ჩვენებურმაც იმედები გაუმართლა. ირაკლიმ 87-ე წუთზე გამარჯვების გოლი გაუტანა *ილია კანდელაკის* „ჩერნომორეცს“.

დამაჯერებლად მოიგო ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნმა“ — კერკეტ „ჩარლტონს“ 4:1 სძლია. ხიზანიშვილმა სრულად ითამაშა, „ბლექბერნმა“ კი უკვე მეთერთმეტე საფეხურზე აიწია სატურნირო ცხრილში.

„გერმანელ“ ქართველთაგან ლევან ცქიტიშვილი გამოირჩა. მისი „ვოლფსბურგი“ „კიოლნთან“ 1:1-ს დასჯერდა, „ცქიტომ“ კი საგოლე პასით გამოიჩინა თავი. რაც შეეხება *ლევან კობიაშვილის* „შალკეს“, „ხუმარებმა“ 3:0 მიანგრიეს „დუისბურგი“ და ჩვენებურიც, ბუნებრივია, ძირითადში იყო.

კახა კალაძის „მილანმა“ 5:1 დასცა „უდინეზე“. საქართველოს ნაკრების კაპიტანი სათადარიგო იყო. საინტერესო კი ისაა, რომ კალაძე მწვრთნელის უცნაური როტაციის „მსხვერპლია“ — კახა ჩემპიონთა ლიგაში სტაბილურად თამაშობს, სერია A-ში კი თერთმეტ ტურში ოდენ ხუთჯერ გავიდა მოედანზე.

კახა შალამბერიძე

გადაყლაპა თუ არა ნერწყვი მიქაძემ?

ლატვიის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში რიგის „სკონტოსთან“ მატჩში გაძევებული მეტალურგსელი ქართველი მცველი ლევან მიქაძე დისციპლინარებმა ორი თამაშით და 100 ლატით დაჯარიმეს, თუმც ეს გადაწყვეტილება ჯერჯერობით საბოლოო არაა და ეგებ შეიცვალოს კიდეც. ეს კი მას შემდეგ მოხდება, როცა დისციპლინარები მატჩის ფირს ნახავენ.

საქმე ისაა, რომ მიქაძე მსაჯმა ანდრეჯ სიპჯილომ მოედნიდან 54-ე წუთზე გააძევა, რასაც ქართველის უკმაყოფილება გამოუწვევია. მსაჯის პატაკში კი ისიც ჩაიწერა, რომ აღშფოთებულმა მიქაძემ არბიტრს შეაფურთხა. სწორედ ამის დაფიქსირებას ეცდებიან დისციპლინარები ფირზე.

შეგახსენებთ, რომ ლიეპაიას „მეტალურგსი“ პირველად გახდა ლატვიის ჩემპიონი და ეს ტიტული სწორედ რიგის „სკონტოს“ ჩამოართვა.

კახა შალამბერიძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა			
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	უდინეზე 5:1	0	სათადარიგო	5	0	2
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	შ	დუისბურგი 3:0	90		12	0	4
ლევან ცქიტიშვილი	ვოლფსბურგი	შ	კიოლნი 1:1	80	საგოლე პასი, შეცვალეს	9	0	7
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	ს	პადერბორნი 1:1	90		12	1	4
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	ს	პადერბორნი 1:1	0	ტრავმირებულია	0	0	4
გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	ზტ. პაული	შ	ესენი 3:0	18	შეცვლაზე ითამაშა	14	1	4
გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა								
მიხეილ საჯაია	ბაიროითი	ს	ელვერსბერგი 1:1	90		12	8	8
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლექბერნი	შ	ჩარლტონი 4:1	90		8	0	11
ჰოლანდია. ერედივიზიონი								
შოთა არველაძე	ალკმაარი	შ	ჰერაკლესი 2:1	90	1 გოლი, საგოლე პასი	11	12	2
გოგა გახოკიძე	ტვენტე	შ	ტილბურგი 3:1	0	ტრავმირებულია	5	0	11
ავსტრია. მაქსბუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	შ	მატერსბურგი 0:2	90	გააფრთხილეს	16	5	7
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	ტერეკი 3:0	90	1 გოლი	28	2	3
გიორგი ჭელიძე	ლოკომოტივი	ს	ტერეკი 3:0	0	სათადარიგო	1	0	3
რომან ახალკაცი	ლოკომოტივი	ს	ტერეკი 3:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	3
მათე ღვინიანიძე	ლოკომოტივი	ს	ტერეკი 3:0	0	ტრავმირებულია	0	0	3
მიხეილ აშვეთია	როსტოვი	შ	კრილია 2:1	0	განაცხადში არ იყო	13	1	13
გოჩა ხოჯავა	როსტოვი	შ	კრილია 2:1	0	სარეზერვო გუნდშია	1	0	13
ბექა ულენტი	ტორპედო	ს	რუბინი 1:5	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	7
ანზორ კალაძე	ტორპედო	ს	რუბინი 1:5	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	7
ვიტალი დარასელია	ალანია	შ	ტომი 1:2	0	განაცხადში არ იყო	18	1	15
ლევან გვაზავა	ალანია	შ	ტომი 1:2	0	სარეზერვო გუნდშია	6	0	15
ლადო ბურდული	ალანია	შ	ტომი 1:2	0	განაცხადში არ იყო	13	0	15
დავით კვირკველია	ალანია	შ	ტომი 1:2	0	განაცხადში არ იყო	13	0	15
ჯაბა კანკავა	ალანია	შ	ტომი 1:2	22	შეცვლაზე ითამაშა	12	0	15
გიორგი შაშიაშვილი	ალანია	შ	ტომი 1:2	0	განაცხადში არ იყო	7	0	15
გიორგი დემეტრაძე	ალანია	შ	ტომი 1:2	28	შეცვლაზე ითამაშა	11	2	15
გიორგი ქინქლაძე	რუბინი	შ	ტორპედო 5:1	62	შეცვალეს	9	2	4
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	შ	ტორპედო 5:1	0	ტრავმირებულია	21	0	4
ზურაბ არზიანი	რუბინი	შ	ტორპედო 5:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	4
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
გიორგი ლომაია	ხიმკი	ს	ამური 3:1	90		15	0	4
გოგიტა გოგუა	ხიმკი	ს	ამური 3:1	0		6	0	4
რევაზ გოცირიძე	კამაზი	ს	ლოკომოტივი 2:0	0		16	0	3
კახა მჟავანაძე	ანჟი	ს	პეტროტრესტი 1:1	90		32	1	11
მამუკა ლომიძე	ჩკალოვეცი	ს	დინამო 3:1	0		11	0	10
ლევან ბერიშვილი	მ. კუზბასი	ს	სპარტაკი 3:0	16	შეცვლაზე ითამაშა	34	5	18
პაატა ჯინჭარაძე	ბრიანსკი	შ	ყუბანი 1:0	90		36	2	13
დავით ხმელიძე	ჩელიაბინსკი	შ	ურალი 1:1	90		11	0	9
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	შ	ჩერნომორეცი 1:0	9	შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი	2	1	15
არჩილ ბაჯელიძე	მ. ზაპოროჟიე	შ	ჩერნომორეცი 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	15
ლაშა ჯაკობია	მეტალისტი	ს	ხარკოვი 0:1	81	შეცვალეს	14	6	7
გიორგი ციმაკურიძე	სტალი	შ	ვორსკლა 2:0	87	შეცვალეს	14	1	9
ილია კანდელაკი	ჩერნომორეცი	ს	მ. ზაპოროჟიე 0:1	90		7	0	5
საბერძნეთი. ერროვნული ლიგა								
ლევან მაღრაძე	ქსანთი	ს	ოლიმპიაკოსი 0:2	10	შეცვლაზე ითამაშა	8	0	3
ამირან მუჯირი	კალითეა	ს	აეკ 0:2	0		7	0	16
კვიპროსი. პირველი დივიზიონი								
ლევან ქებაძე	აშნა	შ	აპოლონი 1:2	0		6	2	10
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ლევან კორლალიძე	სკონტო	ს	დინაბურგი 3:1	0		14	0	2
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო	ს	დინაბურგი 3:1	0	დისკვალიფიცირებული იყო	20	3	2
ზაალ ელიავა	სკონტო	ს	დინაბურგი 3:1	90		24	0	2
დავით ჩალაძე	სკონტო	ს	დინაბურგი 3:1	0		8	2	2
დავით გამეზარდაშვილი	სკონტო	ს	დინაბურგი 3:1	0		1	0	2
ლევან მიქაძე	მეტალურგსი	შ	იურმალა 1:0	0	დისკვალიფიცირებული იყო	24	2	1
ალეკო რეხვიაშვილი	ვენტსპილსი	შ	ვენტა 2:0	90		22	3	3
ყაზახეთი. სუპერლიგა								
გიორგი გოგიაშვილი	ვოსტოკი	ს	აქტობე 0:3	45	შეცვლაზე ითამაშა	23	5	14
ზურაბ არჩვაძე	ეკიბასტუზეცი	შ	ბოლატი 4:1	0	განაცხადში არ იყო	16	0	12
დავით ჭიქვეიშვილი	ატირაუ	ს	ჟენისი 0:2	90		12	0	10
ლევან სანიკიძე	ტობოლი	შ	ჟეტისუ 4:1	10	შეცვლაზე ითამაშა	3	0	2

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ნუ ღელავ მაურო

„იუვენტუსის“ მწვრთნელი ფაბიო კაპელო აცხადებს, რომ „სტადიო დელე ალპიზე“ მაურო კამორანეზის პრობლემა არ არსებობს.

მათთვის, ვინც „ბებერი ქალბატონის“ თამაშს თვალს ადევნებს, ნათელია, რატომ დასჭირდა კაპელოს ამის თქმა: ბოლო ორი თამაშია მას კამორანეზი მოედანზე შემცვლელად შეჰყავს და მალევე თავად ცვლის. დაგვეთანხმებით, შემცვლელის შეცვლა ფეხბურთში ხშირი ნამდვილად არ არის და ყურადღებას იქცევს. ისე კი, ბარემ აქვე დავძინოთ — იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში ასეთი რამ სამ შეხვედრაში მოხდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ კაპელოსა და კამორანეზის.

„ის იმიტომ შევცვალე, რომ არ მინდოდა მეტოქე ჩვენი მოთამაშის მოსალოდნელი გაძევებით დამეჯილდოვებინა — განმარტა მწვრთნელმა — მართალია, არ შემიძლია ავხსნა რატომ, მაგრამ ფაქტია, რომ კამორანეზი ძალიან განერვიულებული იყო და შესაბამისადაც თამაშობდა. ვიმეორებ, ჩემთვის მიზეზი უცნობია, რადგან რაიმე სპეციფიურ მიზეზს ვერ ვხედავ. ახლა ნაკრებში სათამაშოდ წავა და მწამს იქ აღიდგენს წონასწორობას“.

შეგახსენებთ, რომ „ლივორნოსთან“ შეხვედრის გარდა, მაურო კამორანეზი ჩემპიონთა ლიგაში „ბაიერნთან“ მატჩის მსვლელობისასაც მოედანზე თხუთმეტი წუთის შესული შეცვალეს.

პაპუნა კედია

ნიურნბერგი ეძებს

ვოლფგანგ ვოლფის გათავისუფლების შემდეგ „ნიურნბერგი“ ახლა თავკაცს ეძებს — უმწვრთნელოდ დარჩენილმა გუნდმა გასულ უმეტესში „შტუტგარტთან“ წაგო და ბუნდესლიგაში ბოლო ადგილზეა.

„ნიურნბერგის“ სპორტული დირექტორი მარტინ ბოდმერი პეტერ ნიურურერს შეხვდა, რომელიც წინა სეზონის ბოლოს „ბოხუმიდან“ წავიდა და ახლა უმუშევარია.

„ამ კვირაში კიდევ რამდენიმე კანდიდატს განვიხილავთ — თქვა ბოდმერმა — და ვიმედოვნებ, რომ გუნდს მალე ახალი მწვრთნელი ეყოლება“.

კანდიდატთა შორის კი არიან კლაუს ტოპმიოლერი და მათიას ზამერი, ხოლო ლოთარ მათეუსმა შეთავაზება იუარა.

ვაჟა ხუციშვილი

ფანტასტიკური ღამე



ალექს ფერგიუსონი

კვირა ღამე სერ ალექს ფერგიუსონისა იყო.

კრიზისიდან გამოსული „მანჩესტერის“ ბოსი „ჩელსის“ ძლევის შემდეგ ბრიტანეთის ლამის ყველა არხზე გამოჩნდა და ბოლოხანს მისი და კლუბის წინააღმდეგ მოდენილ კრიტიკას „ნაბიჭვრობა“ უწოდა.

ფერგი, რომელიც მე-14 წელიწადია „მანჩესტერის“ სათავეშია, განსაკუთრებით იმით ხარობდა, რომ „ჩელსის“ 40-მატჩიანი წაუგებელი სერია შეუწყვიტა: „ფანტასტიკური თამაში იყო, დიდი სანახაობა. ერთ საათს განუმეორებლად ვითამაშეთ. მათთან წაგება ნიშნავდა, რომ 16 ქულით უკან ვიჭებოდით. ამით საქმე მთავრდებოდა“.

„მანჩესტერი“ ახლა 10 ქულით ჩამორჩება „ჩელსის“ და თამაშით ნაკლებიც აქვს.

ინტერვიუერმა ჯეფ შრიკსმა ფერგი გააფრთხილა, ცუდ სიტყვებს ნუ ამბობ, ტელევიზორს ბავშვებიც უყურებენო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ბოსმა ბოლო ორ კვირაში თავს დატეხილ ამბებს „ნაბიჭვრობა“ უწოდა.

„კრიტიკა პრობლემა არ არის, თუ საქმეს აკეთებ. ლილში წავაგეთ და ეს მოგვეხმარა, რომ „ჩელსისთვის“ გვეჯობნა“ — თქვა სერ ალექსმა.

მატჩის საუკეთესო კაცად აღიარებულმა ალან სმიტმა კი, რომელიც ამასწინათ როი კინმა გააკრიტიკა უვარგისი თამაშისთვის, განაცხადა: „როი ამაყი კაცია და ის გვითხრა, რაც უნდა ეთქვა. როგორც მოთამაშემ ეს მივიღე და დასკვნებიც გავაკეთე“.

ჟოზე მაურინიუმ კი თქვა, რომ ჩემპიონი მაინც „ჩელსი“ გახდება და არ დაემსგავსება „არსენალს“, რომელსაც შარშან 49 მატჩიანი წაუგებელი სერია შეუწყდა „ოლდ ტრეფორდზე“, მერე კი ყველაფერი წააგო და ჩემპიონობაც დაკარგა.

„მანჩესტერი“ არ იყო ორიათ შორის საუკეთესო მოედანზე — განაცხადა ჟოზემ — მგონი, ყველა მიხვდა, რატომაა „ჩელსი“ ჩემპიონი. და ლიდერი. ამ შემთხვევაში ილბალმა გაიმარჯვა. სეზონიაში წაგების შემდეგ ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავი, მაგრამ ახლა ამაყი ვარ, რომ ჩემი ფეხბურთელები მამაცნი არიან. მანჩესტერში წაგება სხვა წაგებებს არ გამოიწვევს. ცხადია, სამწუხაროა, მაგრამ როცა ისე კარგად ითამაშებ და წააგებ, ამაყი ხარ“.

ირაკლი გამყრელიძე

რატომ ვერ შეხვდა პატრიკ ვიეირა ალექს ფერგიუსონს?

„იუვენტუსის“ ფრანგი ნახევარმცველის, პატრიკ ვიეირას შესახებ დაიყარა ხმები, თითქოს იგი ინგლისის პრემიერლიგაში აპირებდა დაბრუნებას, მაგრამ თავად ფეხბურთელმა ეს ხმები უარყო.

არადა, ასეთი ჭორის მიზეზი მართლაც გასაკვირია. ტურინში გადაბარგების შემდეგ ხომ 29 წლის ვიეირას ჩინებული პერიოდი უდგას, დიდებულად თამაშობს და ახალ გუნდს მოსალოდნელზე სწრაფად შეეგუა. დარხეული ხმების მიხედვით კი ვიეირას „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ჰქონდა მოლაპარაკებები წამოწყებული და საქმე ლამის გარიგებამდეც იყო მისული.

დღეს „არსენალის“ ყოფილი კაპიტანი, რომელსაც რვა წელიწადი აქვს ინგლისში გატარებული, აცხადებს, რომ იტალიაში გადაბარგებით ბედნიერია.

„ტყუილია, ჩემს შესახებ რომ ამბობენ, თითქოს ინგლისში, მით უმეტეს „მანჩესტერ იუნაიტედში“ მივდივარ — თქვა 14 მილიონ ინგლისურ გირვანქა სტერლინგად ნაყიდმა ნახევარმცველმა, რომელსაც მანჩესტერელები ჯერ კიდევ ლონდონში ყოფნის წლებში სთავაზობდნენ „ოლდ ტრეფორდზე“ გადაბარგებას — რომ გითხრათ, თითქოს „არსენალში“ თამაშის დროს მე „მანჩესტერ იუნაიტედი“ უარით გავისტუმრე, მართალი არ იქნება, რადგან იქ ნამდვილად არ იყო ნათელი ვითარება. მე უბრალოდ მითხრეს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ჩემი ყიდვა სურდა და თან, თითქოს, კარგ გასამრჯელოსაც მპირდებოდა, მაგრამ მეტი არაფერი ვიცი. ისიც კი არ ვიცი, გადასცეს თუ არა ჩემი პასუხი, რომ სიამოვნებით ვითამაშებდი მათთან. მეტიც, მართლა „მანჩესტერ იუნაიტედი“ იყო ჩემით დაინტერესებული თუ ვიღაც თვითონ ცდილობდა ამ კლუბის სახელით ოპერირებას, ჩემთვის დღემდე უცნობია. ერთი სიტყვით, სერ ალექს ფერგიუსონს არასდროს შევხვედრივარ და ეს ჩემი ბრალია. დიდი შეცდომა დავუშვი, როდესაც სხვადასხვა ჯურის აგენტებს დავუკავშირდი, რომელთაც საბოლოოდ ვერ ვაკონტროლებდი. მოკლედ, ამ ყველაფერში უამრავი ადამიანი იყო ჩარეული და ეს ხალხი უამრავ განსხვავებულ ისტორიას იგონებდა“.

პაპუნა კედია

სარბიელი

სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ ამკრეფ-ოპერატორს მიღება მოხდება შერჩევით

მიღება მოხდება შერჩევით მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 14-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

სალასი მიდის

ჩილელი ვეტერანი მარსელო სალასი მალე ალბათ დიდ ფეხბურთს გამოემშვიდობება. „უნივერსიდად დე ჩილეს“ ფორვარდმა იქაურ „ეკერტონთან“ ჯახში მარცხენა მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო.

„ევერტონთან“ თამაშამდე თავს შესანიშნავად ვგრძნობდი, ახლა კი ვერაფრით ვერ გეტყვით, ჩემი კარიერა მომავალში რანაირად წარიმართება. ექიმების გადაწყვეტილებას ველოდები“ — განუცხადა მობურთალმა ადგილობრივ მედიას.

„რივერ პლეიტის“, „ლაციოსა“ და „იუვენტუსის“ ყოფილი ფორვარდი „უნივერსიდად დე ჩილეში“ გასულ ზაფხულს დაბრუნდა და ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მარსელო მცირე ტრავმებმა აქამდეც გატანჯა — წესიერად ვერც ჩილეს ჩემპიონატში იბურთავა და ვერც სანაკრებო შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა.

„ფეხბურთიდან წასვლას არ ვაპირებდი, თუმც თუ ტრავმა მართლაც სერიოზულია, ბუცების ლურსმანზე დაკიდება მომიწევს“ — დასძინა მარსელო სალასმა მედიასთან საუბარში.

ლადო ხომერიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბონავენტურე კალუ (№15) და მისი თანაგუნდელები მონაკოელებს ამაოდ უტევდნენ

ლანსი ფრეს მიეწება პარიზული ნულები

საფრანგეთი

I დივიზიონი. XIV ტური

ლილი 2:0 სტრასბური

1:0 ოდემვინგი (5), 2:0 ლიხტშტაინერი (65)

სოშო 1:1 ლანსი

1:0 ილანი (10), 1:1 კუზინი (59)

ტრუა 2:1 რენი

0:1 გურსუფი (16), 1:1 ჯაზირი (27), 2:1 ტურენე (77)

პსჟ 0:0 მონაკო

პსჟ-მ ვერ მოუგო „მონაკოს“ და „ლიონს“ უკვე 12 ქულით ჩამორჩება. ფრანჩესკო გვიდოლინის მისვლის დღიდან მონაკოელებმა თამაშის ხარისხი გააუმჯობესეს, ისინი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას აპირებენ და პსჟ ერთ-ერთი კონკურენტია. სწორედ კონკურენტს დასცინცლეს ქულა პარიზულ მატჩში, რომელშიც საგოლე მომენტები სტუმრებს უფრო მეტი ჰქონდათ.

პირველ ტაიმში „მონაკო“ მისავათებული იყო, მაგრამ არც მასპინძლები ბრწყინავდნენ. შესვენების შემდეგ კი სტუმრებმა უკეთესად ითამაშეს, თუმც ორი ნაღდი მომენტი ვერ გამოიყენეს — ჯერ ჩევანტონმა ჩააფლავა ეპიზოდი, შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე კამელ მერიემმაც ააცილა კარს ათი მეტრიდან. მონაკოელი ხერარდ ლოპესი 67-ე წუთზე დაშავდა და შესაძლოა, გუნდს ექვსი თვით გამოაკლდეს.

„ლილი“ ცხრილში ნელ-ნელა მაღლა მიიწევს. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძლევით გახარებულ ლილელებს მაჩანჩალა „სტრასბურის“ ძლევა არ გასჭირვებიათ. მასპინძლები მეექვსე წუთზე პეტერ ოდემვინგიმ დააწინაურა, ხოლო მეორე ტაიმში ლიხტშტაინერმა იხეირა. „სტრასბური“ ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჯერ მატჩი არ მოუგია.

„ტრუამ“ სეზონში მესამე გამარჯვება მიითვალა და ქვედა სამეულიდან ამოძვრა. ანგარიში რენელმა იოან გურსუფმა გახსნა, მაგრამ ზიად ჯაზირიმ მალევე გაათანაბრა. მასპინძლები მეორე ტაიმში დაქანცულები ჩანდნენ, რამაც სტუმრებს უპირატესობა შეუქმნა, თუმც საგოლე მომენტები გაანიავეს. მატჩის დასრულებამდე თერთმეტი წუთით ადრე კი ჩარლს ტურენემ იყოჩაღა და „ტრუას“ მოაგებინა.

„ლანსმა“ მერვე ფრე ითამაშა. „წითელ-ყვითლები“ ამჯერად „სოშოს“ დაუზავდნენ, რომელსაც ლიგაში ერთ-ერთი უსუსტესი თავდასხმის ხაზი ჰყავს. დამხვდურები ილანის გოლით იგებდნენ, მაგრამ ლანსელმა კუზინმა მეორე ტაიმში გაათანაბრა. ეტყობა, იგი იშტაზეა, რადგან შვედურ „ჰალმსტადთან“ უეფას თასის მატჩში ჰეთ თრიქი შეასრულა და ოთხ დღეში ოთხი გოლი მოაგროვა.

ვაჟა ხუციშვილი

ლიონი	14	11	3	0	24:8	36
ბორდო	14	7	6	1	15:7	27
სენტ ეტიენი	14	6	6	2	15:8	24
პსჟ	14	7	3	4	15:11	24
ლილი	14	6	5	3	20:10	23
ოსერი	14	7	2	5	17:17	23
ლე მანი	14	6	4	4	16:9	22
მონაკო	14	6	3	5	14:11	21
ლანსი	13	4	8	1	19:10	20
რენი	14	6	2	6	16:25	20
ნანტი	14	5	3	6	13:11	18
მარსელი	14	5	3	6	14:18	18
ნანსი	14	5	2	7	16:12	17
ნიცა	14	4	5	5	11:14	17
ტულუზი	14	4	3	7	10:16	15
ტრუა	14	3	5	6	12:18	14
სოშო	14	3	4	7	8:15	13
აიაჩო	13	2	5	6	9:15	11
მეცი	14	1	4	9	7:24	7
სტრასბური	14	0	6	8	5:16	6

ივო გაუშვეს

რუსეთის ჩემპიონატის დასრულებამდე ტურით ადრე მოსკოვის „დინამოს“ მწვრთნელი ივო ვორტმანი გაათავისუფლეს. „მან ვერ გაამართლა ჩვენი ნდობა“ — მოკლედ განაცხადა კლუბის პრესმდივანმა.

55 წლის ვორტმანი მოსკოვის „დინამოში“ ბრაზილიური „ჟუვენტუდედან“ ივლისში მივიდა. ბრაზილიელი მწვრთნელი „დინამოს“ პატრონს იმიტომ უნდოდა, რომ გუნდს საჩემპიონოდ ებრძოლა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. სეზონის ბოლოს ზედიზედ ნაწვნევი სამი მარცხის შემდეგ ვორტმანს კარისკენ მიუთითეს. ახლა ბრაზილიელს დროებით ანდრეი კობელევი შეცვლის, რომელმაც გაზაფხულზე ცოტა ხნით მოასწრო „დინამოს“ მწვრთნელობა. კლუბის პატრონმა ალექსეი ფედორიჩევმა ტრანსფერებისთვის 100 მილიონ დოლარზე მეტი დახარჯა, მაგრამ ამაოდ.

ვაჟა ხუციშვილი

მიფრინავენ-მოფრინავენ

საფრანგეთის ნაკრებს ამ კვირაში ორი ამხანაგური მატჩი აქვს —რაიმონ დომენიკის ბიჭები გუშინ კუნძულ მარტინიკაზე გაფრინდნენ და ზეგ, 9 ნოემბერს, კოსტა რიკას ეთამაშებიან. იმავე დღეს უკან დაბრუნდებიან და შაბათს, 12 ნოემბერს, პარიზში გერმანიას უმასპინძლებენ.

ასეთი დამქანცველი გრაფიკის გამო რაიმონ დომენეკი კლუბებმა გააკრიტიკეს, რომელთაც თავიანთი ფეხბურთელების ხანი ადარდებთ, მაგრამ ნაკრების თავკაცმა ასე ინება. გუნდს ჰაერში (იქით-აქეთ) 15 საათის გატარება მოუწევს, თან საფრანგეთსა და კოსტა რიკას შორის ხუთსაათიანი სხვაობაა.

„ჩვენ გვჭირდება ბევრი ამხანაგური მატჩი — თქვა დომენეკმა — რათა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სათანადოდ მოვემზადოთ. ეს ორი თამაში აუცილებელია, რაკი მარტამდე დასვენება მოგვიწევს. ფეხბურთელებმა ერთმანეთთან რაც შეიძლება, მეტი დრო უნდა გაატარონ. პირველი კლასით, კომფორტულად ვიმგზავრებთ და ბიჭებს საუკეთესო პირობები ექნებათ“.



რაიმონ დომენეკს კლუბები არ ადარდებს

„ამჯერად კი გავუშვით ფეხბურთელები, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მეორედ მსგავსი ნაბიჯისკენ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია თავს შეიკავებს“ — განცხადა „ლიონის“ მწვრთნელმა ჟერარ ულიემ.

„კოსტა რიკასთან დაგეგმილ თამაშს ვერ გავაუქმებდით, რადგან ეს მეტოქის უპატივცემულობა იქნებოდა. 9 ნოემბერი ამხანაგური შეხვედრების დღე არაა, მაგრამ იმიტომ ვარჩიეთ, რომ გუნდმა მთელი კვირა ერთად გაატაროს“ — აღნიშნა დომენეკმა.

რაც შეეხება მთავარ მეკარეს, ნაკრების მწვრთნელი ამ პრობლემის მოგვარებასაც აპირებს. ბარტეზი თუ კუპე? დომენიკის თქმით, არჩევანის გაკეთება იოლი არაა, თუმც ის თავად დაასახელებს პირველ ნომერს და საჭოჭაოს არავის დაუტოვებს.

ვაჟა ხუციშვილი

ნორვეგიამ კარეუ აღიარა

„ლიონის“ ფორვარდი იონ კარეუ ნორვეგიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. გამოკითხვაში მან „სტარტის“ ნახევარმცველი კრისტოფ ჰესტადი და „ბლექბერნის“ მორტენ-გამსტ პედერსენი ჩამოიტოვა.

მოგეხსენებათ, კარეუ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ნორვეგიის ნაკრების მთავარი ფორვარდია. იგი ამ ზაფხულს „ბეშიქთაშიდან“ „ლიონში“ გადავიდა და ფრანგულ კლუბშიც ბლომად გოლები გააქვს. გასულ კვირას ჩემპიონთა ლიგის მატჩში ბერძნულ „ოლიმპიაკოსს“ წყვილი გოლი გაუტანა.

უცნაურია, რომ კანდიდატთა ნუსხაში იონ არნე რიისე ვერ მოხვდა, რომელმაც წლეულს ჩემპიონთა თასი მოიგო.

მომავალ შაბათს პლეი ოფის პირველ მატჩში ნორვეგია ჩეხეთს უმასპინძლებს.

„ჩეხები ფავორიტები არიან — თქვა კარეუმ — ვფიქრობ, რომ მთავარია, შინ გოლი არ გავუშვათ. 1:0-იც რომ მოვიგოთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის კარგი შანსი გვექნება“.

ვაჟა ხუციშვილი

პორტუგალია

სუპერლიგა. X ტური

ბენფიკა 2:2 რიუ ავე

0:1 კლეიტონი (25), 1:1 პეტიტი (31), 1:2 ჩიდი (55), 2:2 პეტიტი (85)

ფერეირა 0:1 პორტუ

0:1 კვარესმა (12)

ბრაგა	10	7	2	1	10:2	23
ნასიონალი	10	6	3	1	12:4	21
პორტუ	10	6	3	1	13:6	21
ბენფიკა	10	5	3	2	17:9	18
სეტუბალი	10	5	2	3	6:3	17
სპორტინგი	10	5	2	3	14:14	17
ბოავიშტა	10	3	6	1	15:10	15
რიუ ავე	10	4	3	3	15:14	15
ფერეირა	10	4	1	5	11:14	13
მარიტიმუ	10	2	5	3	12:13	11
ნავალი	10	3	2	5	12:14	11
ლეირია	10	3	2	5	11:13	11
ჟილ ვისენტე	10	3	2	5	9:13	11
ბელენენსეში	10	3	1	6	13:15	10
ამადორა	10	2	3	5	8:12	9
აკადემიკა	9	2	2	5	8:11	8
გიმარაეში	9	2	1	6	5:14	7
პენაფიელი	10	1	3	6	8:18	6

იტალია

სერია A. XI ტური

პალერმო 0:2 სამპდორია

0:1 გასბარონი (32), 0:2 ბონაცოლი (73)

პალერმო: ანდუხარი, ძაკარდო, ტერლიცი (რინაუდო 34), ბარძალი, გონსალესი, გროსო, ბარონე, კორინი, მასიელო (ბრიენცა 46), კარაჩოლო, მაკინვა

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

სამპდორია: ანტონიოლი, კასტელინი, ძენონი, სალა, პიზანო, გასბარონი (ბორიელო 82), პალომბო, ვოლპი, ტონეტო (პავანი 90), ძაული (დალა ბონა 71), ბონაცოლი

მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო

გაფრთხილება: ძაკარდო, კორინი, გასბარონი, პალომბო, ტონეტო, სალა

მსაჯი: ტრეფოლონი

29 087 მაყურებელი

იუვენტუსი	11	10	0	1	22:5	30
მილანი	11	9	1	1	26:9	28
ფიორენტინა	11	8	1	2	24:12	25
ინტერი	11	6	2	3	20:10	20
კიევო	11	5	4	2	15:11	19
რომა	11	5	3	3	17:10	18
სამპდორია	11	5	2	4	21:17	17
ემპოლი	11	5	2	4	15:15	17
პალერმო	11	4	4	3	17:16	16
ლაციო	11	4	4	3	13:13	16
ლივორნო	11	4	3	4	9:15	15
სიენა	11	4	2	5	18:20	14
უდინეზე	11	4	2	5	12:16	14
პარმა	11	3	3	5	12:17	12
ასკოლი	11	2	5	4	11:14	11
რეჯინა	11	3	0	8	10:18	9
მესინა	11	1	5	5	10:17	8
ტრევიზო	11	1	3	7	5:16	6
კალიარი	11	0	5	6	7:17	5
ლეჩე	11	1	1	9	5:21	4

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

სამხეთული სამშაბათი

ლადო ხომერიკი

ეზეკიელ გარაის გოლზე მთელი არგენტინა ლაპარაკობს

ეზეკიელ გარაი და მისი უკანა მხარე

არგენტინა

აპერტურა. XIII ტური

ოლდ ბოისი 2:1 როსარიო

0:1 რივაროლა (45), 1:1 პორტეგა (54პ), 2:1 გარაი (71)

ველესი 0:2 ესტუდიანტესი

0:1 ალაიესი (35), 0:2 არანო (90)

არგენტინელი აპერტურას მეცამეტე ტურში „ველეს სარსფილდმა" „ესტუდიანტესთან" შინ წააგო და ლიდერის, „ბოკა ხუნიორსის" გადასწრების შანსი ქარს გაატანა. „სტუდენტთაგან" გოლები მცველებმა, აგუსტინ ალაიესმა და კარლოს არანომ გაიტანეს — ალაიესმა მარსელო კარუსკას თავისუფალი დარტყმის შემდეგ შეაწყვიტა ბურთს საგოლე თავური, არანომ კი მატჩის მიწურულს შორეული დარტყმით დასვა წერტილი.

„ველესის" ფეხბურთელები შეხვედრის დასაწყისშივე ზანტად მოძრაობდნენ და მშობლიური გუნდის საქომაგოდ მისული ინჩადა განარისხეს. ფანები განსაკუთრებით მასპინძელთა საუკეთესო მოიერიშეებს, კლაუდიო ენრიასა და როლანდო ზარატეს მისამართით იფხანდნენ გულს გინებით. „ესტუდიანტესი" კი ფრთხილობდა და დროდადრო მოწინააღმდეგეს კონტრშეტევებით უწეწავდა ნერვებს. მე-10 წუთზე მარიანო პავონმა ძლიერად დაარტყა, თუმც ბურთმა გასტონ სესას კარს სანტიმეტრებში ჩაუქროლა.

„სტუდენტებმა" მეტოქეს პირველი გოლი 35-ე წუთზე „აჩუქეს" — ლაზათიანი თავურის გამო ალაიესმა თანაგუნდელთაგან მილოცვა, ხოლო მეტოქის ქომაგებისგან წყევლა-კრულვა და ტრიბუნებიდან ნასროლი ბოთლები დაიმსახურა. პირველი ტაიმის ბოლოს კი მოედანზე ფიცხელი ჩხუბიც ატყდა, რის შედეგად არბიტრმა მასპინძელ ბუსტამანტესა და სტუმარ ანხელერის წითლები აუნთო.

მეორე ტაიმში მიგელ ანხელ რუსოს გუნდმა მოწინააღმდეგეს აქტიურად შეუტია. შეცვლაზე შესულმა მაურისიო საპატამ შორი მანძილიდან მოუქნია ბურთს ფეხი, მაგრამ „ესტუდიანტესის" მეკარე მარტინ ერერამ იკარგა.

მერე „სტუდენტთა" მოიერიშეებიც გააქტიურდნენ და ადრიან ბასტიამ დამხვდურთა გოლკიპერ სესას კინაღამ კარის ძელი გადააგდო თავზე. მეორე და გადამწყვეტი გოლი კი ხორხე ბურუჩაგას შეგირდებმა 90-ე წუთზე შეაგდეს — გასტონ სესამ კარი მიატოვა და იერიშებში ჩაერთო, რითაც კარლოს არანომ ისარგებლა და ბრწყინვალე ბურთი შეაგდო.

„ბოლო სამი თამაში, „კოლონთან", „არსენალთან" და ხუხუის „სიმნასიასთან" ზედიზედ მოვიგეთ. მესმის, რომ ხალხი „ესტუდიანტესთან" ქულების დაკარგვით განრისხებულია, თუმც ყოველთვის გამარჯვებაც შეუძლებელია" — აღნიშნა მატჩის შემდეგ მიგელ ანხელ რუსომ, „ველეს სარსფილდის" მწვრთნელმა.

„ნიუელს ოლ ბოისმა" თავის არენაზე „როსარიო სენტრალი" დააჩოქა 2:1. პირველი გოლი სტუმრებმა გაიტანეს — ხერმან რივაროლამ საჯარიმოდან შეაგდო. მეორე ტაიმის დასაწყისში ოდინდელმა ვარსკვლავმა არიელ ორტეგამ ზუსტად შეასრულა პენალტი და ანგარიში გაათანაბრა. მერე კი... იმავ არიელ ორტეგამ სტუმართა საჯარიმოში ჩააწოდა, იქ ეზეკიელ გარაი ახტა და... გაზეთ „კლარინში" მეორე დღეს ეწერა, ბურთმა გარაის თავზე გადაუარა და ზურგით გაიტანაო. „ლა ნასიონიც" თავს უარყოფს, ოლონდ ზურგის ნაცვლად უკანალი უწერიათ...

ბოკა ხუნიორსი	12	8	3	1	25:9	27
ველესი	13	8	2	3	18:9	26
ესტუდიანტესი	13	7	1	5	17:12	22
ხიმნასია ლა პლატა	12	7	1	4	15:14	22
არგ. ხუნიორსი	12	6	3	3	12:8	21
ინდეპენდიენტე	12	5	5	2	21:14	20
ბანფილდი	12	4	7	1	16:11	19
სან ლორენსო	12	5	4	3	20:17	19
ოლიმპო	12	4	7	1	14:11	19
რივერ პლეიტი	12	5	2	5	15:13	17
როსარიო	12	4	3	5	14:19	15
არსენალი	12	3	5	4	12:14	14
ლანუსი	12	3	5	4	11:17	14
ინსტიტუტო	12	2	6	4	6:11	12
ოლდ ბოისი	13	3	3	7	14:21	12
ხიმნასია ხუხუი	12	2	5	5	14:18	11
რასინგი	12	3	2	7	13:18	11
კოლმენი	12	2	5	5	11:16	11
კოლონი	12	2	4	6	15:22	10
ტიროფეფერალი	11	1	1	9	8:17	4

კარლიტოს საგოლე პაუერსი

ბრაზილიაში სან პაულუს დერბი შედგა და „სანტოსს" „კორინთიანსმა" 7:1 მოუგო... ვინძლო, ამით ყველაფერია ნათქვამი და რაიმეს დამატებას აზრი არ აქვს, თუმც ერთი კი მაინც უნდა ვთქვათ — არგენტინელთა მარად მოქიშპე ქვეყანაში ახლა სხვებზე მეტ პატივს კარლოს ტევესს, „ბოკა ხუნიორსის" ექსმოიერიშეს სცემენ. ტევესმა დაბეჩავებულ „სანტოსს" ჰეთ თრიქი შეუსრულა და მთლად გადარია ისედაც მასზე შეყვარებული ტორსიდა. მატჩის წინ კი ტევესმა მოედანზე შვილი, პატარა ფლორენსია შეარბენინა, მოისმინოს 80 ათასი ფანი მამამისის მისამართით E CAMPEAO-ს (ჩემპიონი) როგორ ღრიალებსო...

— თქვენმა გოგონამ თამაშის წინ მოედანზე შეყვანა თავად გთხოვათ?

— რა თქმა უნდა. თქვენ რომ მისი ქომაგობა ნახოთ, „ბოკას" ან „რივერის" ყველაზე თავზეხელაღებული ფანებიც დაგავიწყდებათ. ფლორენსიას დაბადებამ საოცრად შემცვალა. არ გამამხილოთ და მისთვის პამპერსების გამოცვლა გოლების გატანაზე მეტად მომწონს. ხალხი სტადიონზე ჩემი ფინტებისა და გოლების გამო ირევა. აბა, ერთი საფენის გამოცვლისას მნახონ, რა მაესტრო ვარ.

— ბრაზილიური „კორინთიანსის" ინჩასებმა „მეფე კარლიტოსი" შეგარქვეს. გულშემატკივართა სიყვარულზე რას გვეტყვით?

— ხალხი მართლაც ძალიან მაფასებს და მეც ვცდილობ, მათ სიყვარულს მოედანზე კარგი თამაშით ვუპასუხო. შესანიშნავი ფანობა გვყავს, აქაურებისთვის სულერთია ბრაზილიელი ხარ თუ არგენტინელი. მთავარია, „კორინთიანსის" სასახელოდ თავგანწირვით იბრძოდე.

— „სანტოსი" ახლა კრიზისშია, თუმც ასეთ განადგურებას მაინც ვერ ვიფიქრებდით...

— და რომ გეფიქრათ? დიდი ამბავი, თუ თავის დროზე იქ პელე თამაშობდა. წაუგებელი გუნდი არ არსებობს და ჩვენც, რაც უფრო დიდი ანგარიშით მოვიგებდით, მით უკეთესი.

— გუშინდელ თამაშში თქვენი გატანილი გოლებიდან საუკეთესოდ რომელს მიიჩნევთ?

— მესამეს. გატანისთანავე რაც პირველად დავინახე, არგენტინის ვეებერთელა დროშა იყო. ტრიბუნაზე ჩემმა ბმაკაცებმა გამართეს ფიესტა. უსაზღვროდ ავღელდი, შენელებული კადრებივით ვხედავდი ყველაფერს, ისევე, როგორც ფილმებში...

— ორი „ელ კლასიკო" შევადაროთ — „ბოკა-რივერი" და „კორინთიანსი-სანტოსი"...

— მართალია, ფეხბურთი აქაც ფანატიკურად უყვართ, მაგრამ „ბოკა ხუნიორსისა" და „რივერ პლეიტისთანა" მტრობა ბრაზილიაში არსად მინახავს. არგენტინული დერბი სულ სხვაა.

— ბრაზილიური ფეხბურთის კარგსა და ცუდ მხარეებზეც გვითხარით...

— უპირველეს ყოვლისა, რამაც მე აქაურ ჩემპიონატში გამაკვირვა, თითქმის ყოველი მოთამაშის მაღალტექნიკურობა იყო. აუტსაიდერი გუნდების ფორვარდებიც კი ტექნიკურად შესანიშნავად არიან მომზადებულნი. უარყოფითი მხარე ალბათ თამაშების ნელი ტემპია. თავიდან „კორინთიანსში" რომ მოვედი, მეგონა, მოედანზე ჩამომეყვინთება-მეთქი.

— თუ ყოფილი ისეთი დღე, როცა ბრაზილიაში თქვენი კარიერის კრახზეც იფიქრეთ?

— არასდროს. კარიერის სირთულეებზე რომ წინასწარ მენერვიულა, ახლა ასე ვერ ვითამაშებდი. შემიძლია, მოედანზე ჩემი ძალა მაქსიმალურად ზუსტად შევაფასო, რაც პრობლემების თავიდან აცილებაში მეხმარება.

— „კორინთიანსში" ყოველ მესამე დღეს გიწევთ ბურთაობა. ამის შესახებ რას გვეტყვით?

— სულ მოედანზე ყოფნა ძალიან ძნელია. ბრაზილიის ჩემპიონატში მატჩები ტყვიასავით მისდევს ერთმანეთს და მოთამაშეები ჭკუიდან რომ არ შეიშალონ, მწვრთნელი ხშირად მომდევნო თამაშისას მთელ გუნდს ასვენებს-ხოლმე.

— ახლა თქვენს ანგარიშზე 18 გატანილი ბურთია, ბომბარდირობას აპირებთ?

— აუცილებლად. აქ ჩემზე მეტი „პაისანდუს" რობგოლს, „ვასკუს" ალექს დიაშს და „პარანას" ბორხესს აქვთ გატანილი. მათი ჯობნა შემიძლია.

— 12 ნოემბერს არგენტინის ნაკრები ამხანაგურად ინგლისს ეთამაშება...

— საინტერესო მატჩი იქნება. ინგლისელებს ძლიერი გუნდი ჰყავთ, ოლონდ მატჩი ჩვენ უნდა მოვიგოთ, თუგინდ ეს ვინმეს ძალიან ეწყინოს...

ბრაზილია

სერია A. XXXVIII ტური

სან პაულუ — ფლამენგო 3:1; ფორტალეზა — კრუზეირო 3:1;
კორინთიანსი — სანტოსი 7:1; ფლამენგო — ბოტაფოგო 3:1;
ინტერნასიონალი — პონტე პრეტა 2:1; პარანა — პაისანდუ 2:0; სან კეტანო — ვასკუ და გამა 1:2; ატლ. მინეირო — გოიასი 1:2; ატლ. პარანენსე — პალმეირასი 4:0;
ბრაზილიენსე — კურიტიბა 1:1; ფლუმინენსე — ფიგეირენსე 2:0

მექსიკა

აპერტურა. XV ტური

ტეკოსი — სანტოსი 2:3; ტოლუკა — დორადოსი 2:2;
ხაგუარესი — ტიგრესი 1:1; მონტერეი — ვერაკრუსი 1:1;
მორელია— ნეკაქსა 3:4; ატლასი — ჩივასი 2:2; პუმასი — ატლანტე 2:3;
პაჩუკა — სან ლუისი 0:0; ამერიკა — კრუზ ასული 1:0

...და ან ცაზე ვარსკვლავები

ჯეფრი ჰერსტი

მერე შამპანური გახსნეს და...

ეს არის კაცი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში სამი გოლი გაიტანა... ან არ გაუტანია. მის გარდა ასეთი რამ სხვას არავის ჩაუდენია — ჰეთ თრიქზე მოგახსენებთ. ხოლო, რატომ ვამბობთ, რომ მან, ჯეფრი ჩარლზ ჰერსტმა ეს სამი გოლი შეაგდო ან ვერა, ძნელი მისახვედრი, ცხადია, არ არის — საუბარი ხომ 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს ეხება, სადაც ინგლისმა გერმანიას 4:2 მოუგო და სადაც თანამსაჯი გახლდათ ბაქოელი საბჭოთა არბიტრი ტოფიკ ბახრამოვი, რომელმაც გერმანელთა კარში ისეთი გოლი ჩათვალა, დღემდე, რომ კამათობენ, ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა თუ არა.

და ბარემ, სანამ უშუალოდ ჰერსტის ბიოგრაფიაზე გადავიდოდეთ, ერთ სახალისო ისტორიას მოგიყვებით: ეს ამბავი რამდენიმე წლის წინ მოხდა, როდესაც ინგლისელებმა „უემბლის" სტადიონის დანგრევა და მის ადგილას ახლის აშენება გადაწყვიტეს. მაშინ სტადიონის სამახსოვრო ნაწილების აუქციონზე გაყიდვა გადაწყდა და ერთ-ერთ ასეთ რელიქვიად მოედნის ის პირობითი ფრაგმენტიც დაასახელეს, რომელზეც ჯეფ ჰერსტის იმ, ხსენებული გოლის დროს ხარიხიდან ჩამოვარდნილი ბურთი დაეშვა. ფრაგმენტის ამოჭრის ცერემონიალზე თავად ჰერსტი და გფრ-ს ნაკრების მაშინდელი გოლკიპერი, მოკლედ, იმ გოლის გამშვები ჰანს ტილკოვსკიც დაპატიჟეს. ჰოდა, როდესაც საქმე საქმეზე მიდგა და კარის ხაზთან შეჯგუფულმა ადამიანებმა ფრაგმენტის მონიშვნა დაიწყეს, ტილკოვსკიმ ტელეკამერების წინ გაიხუმრა, ხელი გაასავსავა, სწორ ადგილას არ ჭრით, ბურთი აი, აქ დაეშვაო და ხაზის წინ მიუთითა

სერ ჯეფ ჰერსტი მის ფეხბურთელად ჩამოყალიბებას სამ ადამიანს უმადლის: მამას, ჯეკ რედფერნს და რონ გრინვუდს. მამა, ჩარლზ ჰერსტი თავად გახლდათ პროფესიონალი ფეხბურთელი, ჯეკ რედფერნის დამსახურება ისაა, რომ ახალგაზრდა მოთამაშე „ვესტ ჰემ იუნაიტედს" უქო და ააყვანინა, ხოლო რონ გრინვუდი ამ ლონდონური კლუბის მწვრთნელი გახლდათ და ჰერსტი მაღალი დონის ფეხბურთელად სწორედ მან გამოთალა.

„ვესტ ჰემის" შემადგენლობაში პირველი მატჩი ჯეფ ჰერსტმა 1958 წელს „ფულემის" წინააღმდეგ ჩაატარა, ოღონდ ეს გახლდათ იმ შეჯიბრების შეხვედრა, რომელსაც ერქვა **floodlight cup**. ამ ამბიდან ოთხი თვის შემდეგ ახალგაზრდა მოთამაშემ უკვე პროფესიული კონტრაქტი გააფორმა.

რაც შეეხება პირველ მატჩს ნამდვილ ჩემპიონატში, მისი ცდა ჰერსტს დიდხანს, 1960 წლის 27 თებერვლამდე დასჭირდა. ეს მოხდა „ნოტინგემ ფორესტის" წინააღმდეგ.

პირველი გოლიო, იკითხავთ თქვენ. გიპასუხებთ: 1961 წლის 18 დეკემბერი, „ვულვერჰემპტონის" კარში.

კი მაგრამ, რატომ ვერ გაიტანა ჩვენი წერილის გმირმა იმ სეზონში მეტი გოლი? იმიტომ, რომ კარიერის დასაწყისში ის სულაც არ იყო თავდამსხმელი, მას ნახევარდაცვის ფრთაზე ათამაშებდნენ.

უგემურად დაიწყო შემდეგი სეზონიც. ჰერსტი ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, მაგრამ მდგომარეობა მაინც შეიცვალა მის სასიკეთოდ, რაც მწვრთნელის, გრინვუდის დამსახურება გახლდათ. „ლივერპულთან" შეხვედრის წინ გრინვუდმა ჰერსტი კაბინეტში დაიბარა და მოთამაშის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, კი არ გალანძღა, არამედ აუხსნა, რატომ სთავაზობდა მას მარცხენა ინსაიდის პოზიციას, ანუ თანამედროვე ენაზე დაახლოებით იმას, რასაც ლუიშ ფიგუ აკეთებს. ექსპერიმენტმა გაამართლა და მას მერე ჯეფ ჰერსტი უკანა პოზიციებზე აღარავის უნახავს.

კეთილი და პატიოსანი, რა შედეგით შევიდა სერ ჯეფ ჰერსტი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში, ზევით ვთქვით. ახლა ის ვნახოთ, რით დაამახსოვრა ამ ვარსკვლავმა თავი „ვესტ ჰემის" ქომაგებს. როგორც ირკვევა, მისი ყველაზე დიდი ვესტჰემური შედეგი ერთ შეხვედრაში ექვსი გოლის გატანაა. მისი ასეთი რისხვა თავს „სანდერლენდს" დაატყდა და უნდა ითქვას, რომ ლონდონური კლუბის ისტორიაში დღემდე თანარეკორდსმენი რჩება — მის გარდა ერთ თამაშში ექვსი გოლი ვიკ უოტსონსაც გაუტანია.

ერთი სიტყვით, ჰერსტმა ინგლისის ჩემპიონატებში 180 თამაში ჩაატარა და „ვესტ ჰემის" ბომბარდირთა სიაში ზემოხსენებული უოტსონის შემდეგ მეორეზე წერია.

თასების საქმე ასეა: ჯეფ ჰერსტს მოუგია ევროპის თასების თასი 1965 წელს და ინგლისის თასი 1964-ში.

ისე, არ დაგიმალავთ და, ზემოთ, თასებზე რომ მოგახსენებდით, გვინდოდა ჰერსტის პირადი მუზეუმი, დიდების დარბაზი თუ რაღაც ამდაგვარი გვეხსენებინა, მაგრამ მერე გაგვახსენდა, რომ სერ ჯეფრიმ თავისი რეგალიები, არც მეტი, არც ნაკლები, გაყიდა და თავი შევიკავეთ.

თავიდან მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი გაიტანა „დახლზე", ოღონდ, ბედად კარგი მყიდველი მიუვიდა — „ვესტ ჰემი", შემდეგ კი კრისტის აუქციონზე ის მაისურა გაასხვისა, რომლითაც ფინალში სამი გოლი გაიტანა... თუ არ გაუტანია. მაისურაში მან 91 750 გირვანქა მიიღო. ეს 2001 წლის ამბავია.

და ბურთი? განა ბურთი, რომელიც ჯეფ ჰერსტმა სამჯერ შეაგდო... ან არ შეუგდია გერმანელების კარში მას არ უნდა დარჩენოდა? ლოგიკით, სამართლიანი სწორედ ეს იქნებოდა, მაგრამ იმ დღეს, როდესაც მსაჯმა ჩასტვინა და ინგლისი ჩემპიონი გახდა, ბურთს გერმანელმა ჰელმუტ ჰალერმა დაავლო ხელი და თან წაიღო. როგორც ჰერსტი ყვება, მან რელიქვიის ჰალერისთვის გასახდელში გამორთმევა გადაწყვიტა, მაგრამ გასახდელში შამპანური გაიხსნა და...

ისე, ჰელმუტ ჰალერმა ის ბურთი ევრო 96-ის დღეებში 80 ათას დოლარად გაყიდა.

პაპუნა ძიძია

ჯეფრი ჰერსტის ამ დარტყმულს გერმანელთა კარში მეოთხე გოლი მოჰყვა

1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონ ინგლისის ნაკრებს ბობი ჩარლტონი კაპიტნობდა

სარბიელი და კრონტო
წარმოგიდგენთ
სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		9 ნოემბერი						
23:45	349	უენსდი-კარდიფი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
		ინგლისი. I ლიგა						
		11 ნოემბერი						
23:45	3	სუინდონი-ბრისტოლი	2.30	3.00	2.75	1.30	1.25	1.43
		12 ნოემბერი						
19:00	4	ბორნმუთი-ნოტინგემი	2.30	3.10	2.75	1.32	1.25	1.45
18:00	5	ბრედფორდი-ბარნსლი	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
17:00	6	ჩესტერფილდი-პორტ ვეილი	2.05	3.10	3.20	1.23	1.24	1.57
19:00	7	ჰარტლპული-ბრენტფორდი	2.30	3.10	2.75	1.32	1.25	1.45
18:00	8	როტერჰემი-კოლჩესტერი	2.15	3.10	3.00	1.26	1.25	1.52
18:00	9	საუთენდი-სუონსი	2.10	3.10	3.15	1.25	1.25	1.56
18:00	10	ტრანმერი-დონსი	1.85	3.20	3.70	1.17	1.23	1.71
19:00	11	უოლსოლი-ჯილინგემი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
18:00	12	იოვილი-ჰადერსფილდი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
		13 ნოემბერი						
18:00	13	ოლდემი-დონკასტერი	2.00	3.10	3.35	1.21	1.25	1.61
20:00	14	ბლეკპული-სკანთორპი	2.50	3.10	2.45	1.38	1.23	1.36
		ინგლისი. II ლიგა						
		11 ნოემბერი						
23:45	15	მენსფილდი-ბერი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
23:45	16	რაშდენი-ბოსტონი	2.55	3.10	2.45	1.39	1.24	1.36
23:45	21	გრიმსბი-მაკლსფილდი	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
		12 ნოემბერი						
18:00	17	როვერსი-როჩდეილი	2.35	3.00	2.65	1.31	1.24	1.40
18:00	18	ნოტსი-ჩელტენემი	2.00	3.10	3.35	1.21	1.25	1.61
18:30	19	დარლინგტონი-უიკომბი	2.55	3.10	2.45	1.39	1.24	1.36
19:00	20	ჩესტერი-ნორთჰემპტონი	2.25	3.00	2.80	1.28	1.24	1.44
19:00	22	ლინკოლნი-შრიუსბერი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
19:00	23	ოქსფორდი-რექსემი	2.10	3.00	3.30	1.23	1.28	1.57
19:00	24	პიტერბრო-ლეიტონი	2.40	3.00	2.65	1.33	1.25	1.40
19:00	25	ტორკი-კარლაილი	2.45	3.10	2.55	1.36	1.24	1.39
		13 ნოემბერი						
17:30	26	სტოკპორტი-ბარნეტი	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
		ინგლისი. კონფერენსი						
		8 ნოემბერი						
23:45	27	იორკი-ბარტონი	1.60	3.40	4.90	1.08	1.20	2.00
		ბელგია. I დივიზიონი						
		9 ნოემბერი						
23:30	126	ლოკერენი-ლიერსი	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
		სლოვაკეთი						
		8 ნოემბერი						
16:30	142	ინტერი-ჟილინა	3.00	3.10	2.10	1.52	1.23	1.25
16:30	143	ნიტრა-დუბნიცა	1.65	3.50	4.30	1.12	1.19	1.92
20:30	144	ტრნავა-პუხოვი	1.40	4.00	6.30	1.03	1.14	2.44
		9 ნოემბერი						
20:30	145	ბ.ბისტრიცა-რუჟომბეროკი	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
20:30	146	ტრენჩინი-პეტრჟალკა	2.75	3.00	2.30	1.43	1.25	1.30
		ირლანდია						
		8 ნოემბერი						
23:45	161	დროგედა-ბოჰემიანი	2.35	3.00	2.80	1.31	1.27	1.44
		არგენტინა						
		8 ნოემბერი						
23:45	178	კოლონი-ოლიმპო	2.20	3.00	2.90	1.26	1.25	1.47
23:45	179	ხიმნასია ლპ-ხიმნასია ჟ	1.60	3.50	4.50	1.09	1.18	1.96
23:45	180	არსენალი-ინდეპენდიენტე	2.35	3.00	2.70	1.31	1.25	1.42
		9 ნოემბერი						
23:10	181	რასინგ-არგენტინოს ხუნიორსი	2.15	3.10	3.00	1.26	1.25	1.52
23:45	182	რივერ პლეიტი-ლანუსი	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
23:45	183	კილმესი-სან ლორენსო	2.55	3.10	2.40	1.39	1.23	1.35
23:45	184	ტირო ფედერალი-ინსტიტუტო	2.40	3.10	2.55	1.35	1.23	1.39
		მჩ. შესარჩევი მატჩები (პლეი ოფი)						
		12 ნოემბერი						
22:30	209	ნორვეგია-ჩეხეთი	2.90	2.90	2.45	1.45	1.32	1.32
23:45	210	შვეიცარია-თურქეთი	2.30	2.90	3.20	1.28	1.33	1.52
23:45	211	ესპანეთი-სლოვაკეთი	1.35	4.00	10.00	1.00	1.18	2.85
23:45	212	ტრინიდადი-ბაჰრეინი	1.70	3.20	5.00	1.11	1.26	1.95
23:45	213	ურუგვაი-ავსტრალია	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
		ამხანაგური მატჩები						
		9 ნოემბერი						
23:45	214	საფრანგეთი-კოსტა რიკა	1.30	4.50	9.00	1.00	1.13	3.00
		11 ნოემბერი						
19:00	215	ტუნისი-დრ კონგო	1.65	3.20	5.00	1.08	1.24	1.95
		12 ნოემბერი						
15:00	216	სამხრეთ კორეა-შვედეთი	2.90	3.10	2.25	1.49	1.26	1.30
16:30	217	ფინეთი-ესტონეთი	1.60	3.30	5.00	1.07	1.21	1.98
20:00	219	შოტლანდია-აშშ	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
20:45	220	ინგლისი-არგენტინა	2.80	3.10	2.30	1.47	1.26	1.32
21:30	221	საამიროები-ბრაზილია	9.50	4.80	1.25	3.18	1.10	1.00
23:45	222	ჰოლანდია-იტალია	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
23:45	223	საფრანგეთი-გერმანია	1.85	3.10	4.00	1.15	1.26	1.74
23:45	224	პორტუგალია-ხორვატია	1.65	3.20	5.00	1.08	1.24	1.95
		ეჩ. შესარჩევი მატჩები(21) (პლეი ოფი)						
		11 ნოემბერი						
22:45	227	ჩეხეთი(21)-გერმანია(21)	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
23:30	228	ინგლისი(21)-საფრანგეთი(21)	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
23:30	229	უნგრეთი(21)-იტალია(21)	4.00	3.40	1.75	1.83	1.21	1.15
		12 ნოემბერი						
20:00	230	რუსეთი(21)-დანია(21)	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	231	უკრაინა(21)-ბელგია(21)	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
23:00	232	სერბია(21)-ხორვატია(21)	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
		13 ნოემბერი						
17:30	233	შვეიცარია(21)-პორტუგალია(21)	2.90	3.10	2.25	1.49	1.26	1.30
21:45	234	სლოვენია(21)-ჰოლანდია(21)	4.60	3.30	1.70	1.92	1.24	1.12
		შოტლანდია. თასი						
		8 ნოემბერი						
23:45	236	დანფერმლაინი-ჰიბერნიანი	6.00	3.50	1.50	2.21	1.20	1.04
23:45	237	ლივინგსტონი-ინვერნესი	2.90	3.30	2.15	1.54	1.23	1.30
23:45	238	მოზერუელი-აბერდინი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
		9 ნოემბერი						
23:45	235	სელტიკი-რეინჯერსი	1.90	3.30	3.40	1.20	1.21	1.67
		ესპანეთი. თასი						
		9 ნოემბერი						
21:00	240	ბაზა-სელტა	7.00	3.60	1.40	2.37	1.16	1.00
21:00	241	ბურგოსი-კადისი	4.50	3.10	1.70	1.83	1.23	1.09
21:00	242	ჰოსპიტალეტე-ბილბაო	6.00	3.70	1.45	2.28	1.16	1.04
21:00	243	ლეიდა-ხეტაფე	4.50	3.10	1.70	1.83	1.23	1.09
21:00	244	სერესი-სარაგოსა	2.80	3.10	2.15	1.47	1.21	1.26
21:00	245	ზამორა-ეიბარი	2.70	3.00	2.40	1.42	1.27	1.33
		პოლონეთი. თასი						
		8 ნოემბერი						
16:00	350	იაგელონია-პოლონია	1.95	3.10	3.50	1.19	1.25	1.64
21:00	351	პლოცკი-პოდპესკიდზი	1.25	4.60	8.50	1.00	1.08	2.98
23:00	352	ზაგლებე-ვისლა	3.10	3.10	2.10	1.54	1.25	1.25
		9 ნოემბერი						
16:00	353	კუიავიაკი-პოგონი	2.85	3.20	2.15	1.50	1.22	1.28
21:00	354	ამიკა-ოდრა	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
21:00	355	ლეხი-რადომსკო	1.30	4.20	8.00	1.00	1.11	2.75
23:15	356	გროცლინი-კორონა	1.75	3.20	4.00	1.13	1.21	1.77
		11 ნოემბერი						
16:00	357	ჰეტმანი-ლეგია	7.50	4.30	1.30	2.73	1.10	1.00
		კრივი						
		12 ნოემბერი						
23:45	500	ხ.რახმანი-ვ.კლიჩკო	3.60	15.00	1.25			
23:00	501	ს.სამი-ო.მასკაევი	1.30	15.00	3.00			

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP ვალენსიიდან

2005 წლის მოტოჩემპიონები: ტომას ლუტი, ვალენტინო როსი და დანიელ პედრომა

მსოფლიოს ჩემპიონატი. XVII ეტაპი

ვალენსიის დიდი პრიზი. რიკარდო ტორმო— 4005 მ

მოტო გრან პრი — 120,1 კმ

1 მარკო მელანდრი (იტალია, მოვისტარ ჰონდა) — 46 წთ; 58,2
2 ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა) — ჩამორჩა 0,1
3 ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაჰა) — 3,0

საერთო ჩათვლა

1 როსი 367 ქულა; 2 მელანდრი 220; 3 ჰეიდენი 205; 4 კოლინ ედვარდსი (აშშ, გალუაზ იამაჰა) 179; 5 მაჭს ბიაჯი (იტალია, რეპსოლ ჰონდა) 173

250 სმ³— 108,1 კმ

1 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) — 43 წთ; 33,4
2 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა ჰონდა) — ჩამორჩა 3,5
3 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, კარერა აპრილია) — 14,4

საერთო ჩათვლა

1 პედროსა 309 ქულა; 2 სტოუნერი 254; 3 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, სკოტ ჰონდა) 189; 4 ჰიროსი აოიამა (იაპონია, ტელეფონიკა ჰონდა) 180; 5 ლორენცო 167

125 სმ³— 96,1 კმ

1 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) — 40 წთ; 26,6
2 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, რედ ბულ KTM) — ჩამორჩა 0,2
3 მატია პასინი (იტალია, ტოტი აპრილია) — 0,4

საერთო ჩათვლა

1 ტომას ლუტი (შვეიცარია, ჰონდა) 242; 2 კალიო 237; 3 ტალმაში 198; 4 პასინი 183; 5 მარკო სიმონჩელი (იტალია, ნოსაბლე აპრილია) 177

ესპანეთში დაწყებული ესპანეთშივე დასრულდა

ვალენსიაში, რიკარდო ტორმოს სახელობის ტრეკზე რბოლით დასრულდა მოტოისტორიაში ყველაზე მარათონული, 17-ეტაპიანი რიგით 57-ე მსოფლიოს ჩემპიონატი.

ესპანეთში მოტორბოლა ისეთი პოპულარულია, რომ ბოლო წლებში სამი იქაური დიდი პრიზი თამაშდება. მაგრამ ქვეყნის სახელი მხოლოდ ერთ ეტაპს შეიძლება დაერქვას, დანარჩენი ორი კალენდარში კატალონიისა და ვალენსიის სახელით ფიგურირებს.

აქვე ვიტყვით, რომ სეზონის დასკვნით რბოლას დაესწრო ლეგენდარული ამერიკელი კალათბურთელი მაიკლ ჯორდანი, რომელიც უპირველესად თავისი თანამემამულეების, ნიკი ჰეიდენისა და კოლინ ედვარდსის საქომაგოდ მიბრძანდა ავტოდრომზე.

ჰეიდენი ცხრა ქულით ჩამორჩებოდა იტალიელ მარკო მელანდრის და სავიცეჩემპიონო მშვენიერი შანსიც ჰქონდა, მაგრამ კონკურენტის ძლევა ვერ შეძლო და ბრინჯაოს პრიზიორობას დასჯერდა, რითაც სულაც არ გახლდათ უკმაყოფილო — შარშან ხომ გენერალურ კლასიფიკაციაში მხოლოდ მეხუთე იყო.

ისე, ვალენსიაში გასარკვევი ბევრიც აღარაფერი რჩებოდა. 26 წლის იტალიელმა „დოქტორმა“ ვალენტინო როსიმ და 20 წლის ესპანელმა დანიელ პედროსამ ვადამდე გაინაღდეს ტიტულები შესაბამისად „მოტო ერან პრის“ და 250 კუბურ სანტიმეტრიან კატეგორიებში. ასე რომ, ვაკანტურიღა იყო ტახტი ყველაზე მომცრო, 125-იან კლასში. თუმც შვეიცარიელ ტომას ლუტისაც გვირგვინი ლამის რბოლამდე თავზე ედგა — ერთადერთ ხელის შემშლელ მიკა კალიოს 23 ქულით უსწრებდა და ფინელის გამარჯვების შემთხვევაში თუნდაც მეცამეტე ადგილიც ეყოფოდა პირველად გასაჩემპიონებლად.

მიკას თავი არ დაუზოგავს, თავიდან მეოთხე მიდიოდა, მაგრამ ისე იყოჩაღა, რომ სათავეში მოექცა ოცდაათ მხედრიან ქარავანს, უსწრაფესი წრეც გაახერხა და ფინიშთან ყველაზე ადრე მიიჭრა.

19 წლის ობერდსბაჰერელმა ლუტიმ რბოლა მეცხრე პოზიციაზე დაასრულა, საჭიროზე მეტი, შვიდი ქულა მიიღო და შარშანდელ სეზონში სამარცხვინო 25-ე ადგილის შემდეგ ფანტასტიკურ წარმატებას მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ეს შვეიცარიელ მოტომრბოლთა მეორე ტიტულია 39 წელიწადის შემდეგ. შორეულ 1966 წელს ამავე კლასში ჩემპიონი გახდა ლუიჯი ტავერი, რომელიც ასევე „ჰონდათი“ დაჯირითობდა.

„დოქტორ“ როსის ავსტრალიელ მაიკ დუეინის 1997 წლის სეზონში თორმეტმოგებიანი რეკორდის გამეორების შანსი ჰქონდა, მაგრამ კვალიფიკაციისას დაეცა და რბოლა მხოლოდ მე-15 საფეხურიდან დაიწყო. ასეთი უხეირო ვითარების მიუხედავად, მსოფლიოს შვიდგზის ტრიუმფატორმა მოახერხა ჩამორჩენის შემცირება და ვალენსიური ეტაპი პოდიუმზე ჩაამთავრა. ეს „მაესტრო“ ვალენტინოს წლეულს მე-16 საპრიზო ადგილია, რითაც თავისივე შარშანწინანდელი მიღწევა გაიმეორა.

აღსანიშნავია, რომ როსიც და მისი „იამაჰაც“ ჩვეული ლურჯის ნაცვლად ამჯერად თეთრ-წითლები იყვნენ. ასე აღნიშნა იაპონურმა სუპერკონცერნმა მოტოარენაზე პირველი დიდი პრიზის მოგების ნახევარსაუკუნოვანი იუბილე.

მშობლიურ ავტოდრომზე პოული მოიგო 32 წლის ბარსელონელმა სეტე გიბერნომ, სეზონში მეხუთედ, 17 ეტაპის ჯამში ყველაზე ნაკლები საკვალიფიკაციო დრო — 30 წუთი, 55,9 წამი დაუგროვდა და საამისოდ მშვენიერი პრიზიც დაიმსახურა — უკანასკნელი მოდელის სპორტული B ъ ъ.

წლევანდელი სეზონი როსისთვის საიუბილეო, მეათე იყო. თითოჯერ მოიპოვა ჩემპიონობა (1997, 1999) დაბალ კატეგორიებში, ბოლო ხუთი წელი კი ყველაზე პრესტიჟულ, „სამეფო კლასში“ არავის უთმობს პირველობას. ვალენტინო პროვინციულ ურბინოში დაიბადა, ბოლოხანებში ლონდონში ცხოვრობს. იგი ცნობილი იტალიელი მოტომრბოლის გრაციანო როსის შვილია.

ვალენტინო როსის მემკვიდრედ თვლიან დანიელ პედროსას. საბადელმა ვუნდერკინდმა უკვე ხუთ ჩემპიონატში მოასწრო ბაძოსვლა და სამჯერ ტიტულიც მოიპოვა — 2003 წელს 125-იანში გახდა უძლიერესი, შარშან და წლეულს კი 250-ში იპირველა. დენი მოტოისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონია, რომელმაც გვირგვინი მიყოლებით ორ სხვადასხვა კატეგორიაში მოიპოვა.

პედროსა გაისად როსის მხარდამხარ „სამეფო კლასში“ იქროლებს.

გია ახალაძე

7 ნოემბერი. ვერის ბაღი

თსუ 74:70 ავიამშენი

15:15 22:16 19:14 18:25

თსუ: ი. ბერიშვილი (14), მარხვაშვილი (6), ფანჩულიძე (9), ტყეშელაშვილი (11), მუშკუდიანი (8); ლეჟავა (12), ლომიძე (4), ვეფხვაძე (3), სანიკიძე (2), საყვარელიძე (5)

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (5), ხოშტარია (17), მარკოიშვილი (14), ორმოცაძე (13), ნინიაშვილი (7); ბ. ბერიშვილი (4), ნიკოლაძე (2), ჩხატარაშვილი (2), მინაშვილი (6), ნოზაძე, წოწელია

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

სტუ 87:77 მაკაბი

22:20 27:21 17:18 21:18

სტუ: კოხრეიძე (4), ხეცურიანი (10), ლ. ლოსაბერიძე (13), კეიდია (4), მათიაშვილი (25); მიქაძე (12), მურჯიკნელი (4), ახალკაცი (6), შანიძე (7), ნინუა (2), ქისტაური

მაკაბი: აბრამიძე, დოლიძე (12), აბულაძე (9), ვაშაკიძე (24), გ. შერმადინი (21); ჩერქეზიშვილი (8), კორკოტაძე (3), ენუქიძე

მსაჯები: ხათუნა გაბედავა, დავით არეშიძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

დინამო 70:62 ძუთაისი

18:22 18:15 21:11 13:14

დინამო: გულისაბედაშვილი (11), გამყრელიძე (9), ვ. მაისურაძე (13), ლაფანაშვილი (10), ძიძიგური (6), წივწივაძე, ბადრიძე (2), დერიუგინი (2), ცინცაძე (2), დევიძე (4), გვიმრაძე (2), სუხიშვილი (9)

ძუთაისი: ნარსია (9), გ. ლოსაბერიძე (9), ყიფიანი (4), ჭულუხაძე (2), პირტახია, ცერცვაძე (1), კოლუაშვილი (25), შენგელია (12)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

7 ნოემბერი. რუსთავი

აზოტი 117:73 სსუ

ირაკლი პერტაია

რევანში, რევანში, რევანში — ყვიროდნენ საწარმო „ნიკორას" თანამშრომლები, რომლებიც ბლომად მოსულიყვნენ ვერის ბაღში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს ქომაგობდნენ. ეს ხალხი თსუ-ს სპორტულ ფორმებში იყვნენ გამოწყობილნი და ხელში საქომაგო დროშებიც ეჭირათ, ხოლო ტრიბუნის ზედა ნაწილში უშუალოდ უნივერსიტეტის სტუდენტები შექუჩებულიყვნენ, რომლებიც ასევე თსუ-ს გულშემატკივრობდნენ.

ავიატორ გიორგი მარკოიშვილს (№11) თსუ-ელი მიხეილ ფანჩულიძე (მარცხნივ) აფარებს

ფოტო: ლოლა ლოლაშვილის

ერთი სიტყვით, უნივერსიტეტის გუნდს ქომაგი არ აკლდა, აქეთ სტუდენტობა, იქით კი სპონსორ „ნიკორას" კოლექტივი. მატჩი ძალიან პრინციპული გახლდათ და ქომაგთა მოზღვავებაც არ იყო გასაკვირი. „თსუ-ნიკორა" მასსავით წაუგებელ „ავიამშენს" ხვდებოდა და მათ შორის გამარჯვებული ჩემპიონატო ცხრილს სათავეში ერთპიროვნულად მოექცეოდა.

თსუ-ს ქომაგობა რევანშს იმიტომ მოითხოვდა, რომ სტუდენტებმა ჩემპიონატის დაწყებამდე დუდუ დადიანის თასი სწორედ „ავიამშენთან" წააგეს. მაშინ ავიატორებმა პირწმინდად დაჯაბნეს სტუდენტობა, ყველაფერში აჯობეს და სეზონის პირველი ტიტულიც ირგუნეს, თუმც გუშინდელი მატჩი სრულიად განსხვავებული სცენარით წარიმართა.

ორივე გუნდი დანაკლისით შეხვდა ამ მატჩს, თუმც სტუდენტები გაცილებით ცუდ მდგომარეობაში იყვნენ. თუ „ავიამშენს" მხოლოდ კამერუნელი პლასიდე როდუმტა აკლდა, თსუ-ს ერთბაშად სამი მოთამაშე ვერ ეხმარებოდა. ირაკლი მაისურაძე, ლაშა კეშელავა და მიხეილ ბერიშვილი ტრავმების გამო თსუ-ს განაცხადში ვერ მოხვდნენ.

თამაშიც ისე დაიწყო, როგორც ტრავმირებულთა თანაფარდობას შეეფერებოდა, ანუ „ავიამშენმა" გაილაღა და თამაშის დაწყებიდან 5 წუთის შემდეგ 12:4 იგებდა.

„ავიატორთა" წარმატების საწინდარი სწრაფი და ზუსტი თამაში გახლდათ. ამასთან, ლევან მოსეშვილის შეგირდები ფარქვეშ დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ სტუდენტებს.

ავიატორთა დაწინაურება იყო და თსუ-ს თავკაცმა მამუკა ტურაშვილმა წუთშესვენება აიღო.

ვერ გეტყვით, რა უთხრა თავის შეგირდებს, მაგრამ მოედანზე მობრუნებული სტუდენტობა შესაშურად აბურთავდა. ნიკორელებმა დაცვა გაამაგრეს და უსწრაფესი კონტრშეტევებით იმდენი ქულა მოიხვეჭეს, რომ პირველი მეოთხედის დასრულებამდე 2 წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრეს. ის ორი წუთიც ასევე მიიწურა და მეორე მეოთხედს გუნდები 15:15-ით შეეგებნენ.

ორივემ შეცვლებს მიმართა, თუმც ამან სტუდენტებს გაუმართლა. მოედანზე გამოჩნდა დავით საყვარელიძე, რომელიც შარშან ფრანგულ „შალონში" თამაშობდა და ისევ უცხოეთში რომ ვერ წავიდა, დროებით „თსუ-ნიკორას" შეეკრა. „ავიამშენმა" კი ფარის გამაგრება სცადა და მოსეშვილმა თორნიკე ნინიაშვილის ნაცვლად მოედანზე ვახტანგ მინაშვილი გამოუშვა.

მერე აღმოჩნდა, რომ თსუ-ს ფარქვეშა მანევრები არ ანაღვლებდა, რადგან მისი უკანახაზელები ყოჩაღად ათამაშდნენ და სტუდენტებს საგრძნობი უპირატესობაც დაუბევეს. ნიკა ვეფხვაძე, გიორგი მარხვაშვილი და ბესიკ ლეჟავა ბურთს ბურთზე უჭრიდნენ ავიატორებს, კონტრშეტევებსაც შედეგიანად აგვირგვინებდნენ და მეორე მეოთხედის შუაწელში დამსახურებულადაც გალიდერდნენ — 26:18.

„ავიამშენი" დაბნეული იყო, თამაში ვერაფრით ააწყო და ვიდრე პირველი ტაიმი არ დასრულდა, მოსეშვილის შეგირდებს სახეირო არაფერი გამოსვლიათ.

მეორე ნახევარი სტუდენტების 6-ქულიანი ლიდერობით განახლდა, თუმც ძალიან ნაორგი შეკავებულის ყოფაობის შემდეგ ეს სხვაობა 2 ქულამდე შემცირდა. „ავიამშენს" თითქოს იპოვა თავისი თამაში, შეტოქეს ტოლს არაფერში უდებდა და ერთ ეპიზოდში, ვახტანგ მინაშვილის საჯარიმო ტყორცნისას ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლო, თუმც... მინაშვილმა ორქულიანს მოყოლილი ჯარიმა ვერ ჩააგდო და 41:40 ლიდერად დარჩენილმა თსუ-მ უპირატესობა უფრო განიმტკიცა.

ამჯერად სტუდენტებმა შორი ტყორცნებით იხერეს და ირაკლი ბერიშვილისა და დავით საყვარელიძის სამქულიანების შემდეგ გადამწყვეტი მეოთხედის წინ 11-ქულიანი უპირატესობა დაიბევეს — 56:45.

ბოლო მეოთხედში „ავიამშენმა" ძალა მოიკრიბა და სტუდენტებს მთელი ძალებით შეუტია. განსაკუთრებით ირაკლი ხოშტარია გამოირჩა, რომელმაც სამქულიანი ხომ ჩააგდო და სწრაფი გარღვევებით იმდენი ქნა, რომ ავიატორთა ჩამორჩენა ორ ქულამდე შეამცირა — 66:68, თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე.

ეს გახლდათ ყველაზე კრიტიკული მომენტი, როცა თამაშის ბედი გადაწყდა. სტუდენტებმა გამოცდას გაუძლეს, ავიატორთა შეტევებს ზუსტი ტყორცნებით პასუხობდნენ და მატჩის ბოლო წუთმაც ნიკორელთა ორქულიანი ლიდერობით მოატანა — 70:68.

თუ „ავიამშენს" მოგება სურდა, ბოლოს უნდა ეყოჩაღა, მაგრამ დავით ბერიშვილმა უმნიშვნელოვანესი ტყორცნა გააცუდა, საპასუხოდ მიხეილ ფანჩულიძემ იხერა და თსუ-მ უპირინციპულესი მეტოქე დაამარცხა.

სატურნირო ვითარება

თსუ-ნიკორა	5	5	0	+113	10
ავიამშენი	5	4	1	+54	9
დინამო	5	3	2	+29	8
სტუ	5	3	2	-7	8
აზოტი	5	2	3	+24	7
ქუთაისი	5	1	4	-38	6
სსუ	5	1	4	-68	6
მაკაბი	5	1	4	-73	6

საქართველოს ჩემპიონატი

ნიკორას რევანში ავიაცია თსუ-ში ჩაიჭრა

ლიპარტელიანი უალტერნატივოა

16 ნოემბერს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართება, რომელზეც ამ ორგანოს პრეზიდენტი უნდა აირჩეს. ეს თარიღი 26 ოქტომბერს დადგინდა და ამ დღიდან პრეზიდენტობის მსურველებს ფედერაციაში რეგისტრაციის უფლება ჰქონდათ.

გუშინ, საღამოს 6 საათზე კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა ამოიწურა და აღმოჩნდა, რომ მოქმედი პრეზიდენტის, ბესიკ ლიპარტელიანის გარდა ფედერაციაში განაცხადი არავის შეუტანია.

ასე რომ, 16 ნოემბრის არჩევნებში პრეზიდენტად არჩევის ერთადერთი კანდიდატი ბესიკ ლიპარტელიანია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალი 4 წლის განმავლობაში ქართულ კალათბურთს კვლავ იგივე მმართველი ეყოლება.

ასე რომ, ბარტონ ბესიკს აქედანვე შეგვიძლია პოსტზე დარჩენა მივულოცოთ.

6 ნოემბერი

ლეიკერსი 112:92 დენვერი

ლეიკერსი: ბრაიანტი (37), მიმი (20 ქულა, 13 მოხსნა), ოდომი (20)

დენვერი: ენტონი (21), მილერი (20), მარტინი (17)

ფინიქსი 117:118 საკრამენტო

ფინიქსი: ბარბოსა (20), ნეში (18 ქულა, 13 პასი), მარიონი (16)

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (33), აბდულ-რაჰიმი (23 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი)

ნიუ იორკი 81:83 გოლდენ სტეიტი

ნიუ იორკი: მარბერი (15)

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (24), მერფი (17 ქულა, 10 მოხსნა), დევისი (16)

არა, ამ საწყალ „ნიუ იორკს" ლარი ბრაუნისთანა მჩხიბავიც ვერაფერს უშველის. თითქოს ვიღაც ბოროტმა ჯადოქარმა დაწყევლაო, მჭლე „ნიქსმა" ამდენი წელიწადია, ვერაფრით ვერ შეისხა ფერ-ხორცი, დიდი და პატარა მას ჩაგრავს. სამ თამაშში სამი მარცხით ამ ჯუნდმა თავიდანვე შეიმზადა საფუძველი ბოლო ან ბოლოსწინა ადგილისთვის.

„გოლდენ სტეიტი" ვერ არის ისეთი უძლეველი მეტოქე, ვისთან გამარჯვების დაგეგმვაც სპორტულ თავხედობაში ჩათვლებოდა თუნდაც საშუალო გაქანების გუნდს, მით უმეტეს, საკუთარ მოედანზე. თამაშის შედეგიც სწორედ ამას გვიმტკიცებს, რომ ბრაუნის შეგირდებს საშუალო დონემდეც ბევრი უკლიათ.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ნიუ-იორკს წყალი შეუდგა

საზოგადოდ, ბრაუნს არასდროს ამოსდიოდა მზე და მთვარე ახალბედებზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა ის სულ სხვა ჭკუაზეა, დასაკარგი რომ არაფერი აქვს, იმ კაცივით მოქმედებს და კვირაღამ „ნიქსის" სამივე ახალბედა გამოცადა — დევიდ ლი, ჩანინგ ფრი და ნეიტ რობინსონი. ამათგან პირველი კარგა ხანსაც ათამაშა და მანაც იმედი არ გაუცრუა — მესამე მეოთხედის ბოლოს, რამდენიმეწუთიან მონაკვეთში 7 ქულა გაახერხა და თავისიანთა 16:6 გაქცევას უყოჩა, თუმც აქ უკვე გამოცდილმა მოთამაშეებმა ვეღარ ივარგეს და „გოლდენ სტეიტმაც" „მედისონ სკვერ გარდენიდან" გამარჯვება წაიღო.

„მართალია, ახალბედებს ხშირად არ ვიყენებ, მაგრამ ახლა სხვა ვითარებაში ვართ. ჩვენ ეს ბიჭები გვჭირდება და მინდა, გავიგო, ამ უახლოეს მომავალში რომელზე შემეძლება დაყრდნობა" — ამბობს „ნიუ იორკში" მგონი თავისდა ჭირად მისული ბრაუნი. უარესი კიდევ წინაა — მის გუნდს ექვსთამაშა გასვლითი ტურნე ელის დასავლეთ სანაპიროზე.

ამ ღვაწლმოსილი მწვრთნელისგან განსხვავებით, გაცილებით უკეთეს ყოფაშია ერთწლიანი უქმობის შემდეგ „ლეიკერსში" დაბრუნებული ფილ ჯეკსონი. კობი ბრაიანტმა ორ შეხვედრაში 70 ქულა უმარჯვა „დენვერს" და, რა გასაკვირია, „ლეიკერსმა" ორივე მოიგო — პირველი სტუმრად ოვერტაიმში, მეორე შინ, 20-ქულიანი უპირატესობით. შინაურ შეხვედრაში კობის კარგად წაეშველა როგორც იქნა გამოღვიძებული ახმახი ცენტრი კრიც მიმი — მან პირველ მეოთხედში 12 ქულა და 7 მოხსნა გაჩარხა და ამ 12-წუთეულის 14 ქულით მოგების შემდეგ მასპინძლებს 5 ქულაზე ახლოს აღარც მიუშვიათ მეტოქე.

„ლეიკერსის" ჯერჯერობით ერთადერთი მარცხის შემოქმედმა „ფინიქსმა" კი აგერ, მეორედ დამარცხება მოასწრო — „საკრამენტოსთან" შინაური შეხვედრა სანახავადაც და სანერვიულოდაც გვარიანი გამოდგა. სტუმარი „კინგზი" პირველი ტაიმის შემდეგ 5 ქულით აგებდა, მესამე მეოთხედი კი ისე მარჯვედ ჩაატარა, გადამწყვეტ პერიოდში იქით მოუხდა ჩამორჩენილი მეტოქის იერიშების მოგერიება. საკრამენტოელთა პირველმექულე პრედრაგ სტოიაკოვიჩმა 33 ქულა კი გაშანსა, მაგრამ მატჩის გმირად მაინც შარიფ აბდურრაჰიმი ჩაითვლება, ვინც „ფინიქსის" 114:112 ლიდერობისას წყვილი საჯარიმო კი ააცილა. მაგრამ თავისანთა ბოლო ექვსივე ქულა პირად ანგარიშზე ჩაიწერა და თანაც ბოლო წამებზე მეტოქეს სასტიკად დაუფარა.

კოტე ყორღია

AFP პარი ზიდან

ტომაშ ბერდიხი



AFP ფილადელფიიდან

ამელი მორესმო

გახარებული ბერდიხი და მებრძოლი მორესმო

BNP PARIBAS MASTERS
პარიზი. საფრანგეთი
მაგარსაფარი
საპრიზო 1 870 000 €

ფინალი

ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) — **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია, 5) — 6:3 6:4 3:6 4:6 6:4

პარიზის მასტერსის ტრიუმფატორად 20 წლის ჩეხი ტომაშ ბერდიხი იქცა, რომელმაც ძალიან მძიმე ბრძოლაში შეძლო ხორვატი ივან ლიუბიჩიჩის დამარცხება. ეს ახალგაზრდა ჩეხისთვის მართლაც დიდი წარმატებაა.

ივან ლიუბიჩიჩმა ბოლო 14 დღის განმავლობაში მეორედ წააგო მასტერსის ფინალში.

შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ ხორვატმა მადრიდში რაფაელ ნადალს დაუთმო გამარჯვებულის მანტია.

მართალია, მადრიდსა და პარიზში ლიუბიჩიჩმა 5-სეტიან ბრძოლებში წააგო, მაგრამ ამჯერად ძალთა განლაგება ხორვატის სასარგებლოდ იყო — ესპანეთისგან განსხვავებით, ის აქ აშკარა ფავორიტად ითვლებოდა. თუმც პროგნოზები არ გამართლდა და ხორვატმა თავის ახალგაზრდა მოწინააღმდეგეს დაუთმო ტიტული.

ჩეხმა კი მართლაც კარგად იასპარეზა. იგი არ შეუშინდა ხორვატის უძლიერეს მოწოდებებს (ლიუბიჩიჩმა 32 ეისი მოაწოდა), კარგად ითამაშა მიღებაზე და თავისი კომბინაციური ჩოგბურთი თავს მოახვია მოწინააღმდეგეს.

ისე, ბერდიხიც არანაკლებ კარგად აწოდებდა — მის ანგარიშზე 18 ეისი იყო.

თამაში ჩეხმა უკეთ დაიწყო და საკმაოდ მალე მოახერხა კიდეც ორი სეტის მოგება. თუმცა ლიუბიჩიჩი ამის შემდეგ გამოცოცხლდა, თითო ბრეიკი გაუკეთა მოწინააღმდეგეს მომდევნო ორ სეტში და ვითარება კვლავ გაათანაბრა.

მეხუთე სეტში თანაბარი თამაში გაჩაღდა. ჩოგბურთელები სტაბილურად იგებდნენ თავიანთ მოწოდებებს. გადამწყვეტი მომენტი მე-10 გეიმში ლიუბიჩიჩის მოწოდებაზე დადგა. აქ ჩეხმა ორიოდე კარგი კომბინაცია გაითამაშა და მალე სამმაგი მატჩ-პოინტიც (0:40) მიიღო, მაგრამ ხორვატი არ დანებდა და სამივე გააბათილა. ამის მერე ბერდიხმა ზედიზედ ორი გათამაშება მოიგო და თამაში თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

ჩეხი პარიზის მასტერსის ლირსეული გამარჯვებულია. ასე განსაჯეთ, მან ფინალამდე განვლილ ყველა ეტაპზე განთესილი მოთამაშეები დაამარცხა — პეორე ნომერი არგენტინელი გილერმო კორია, მეცამეტე — ესპანელი ხუან-კარლოს ფერერო, მეშვიდე — კიდევ ერთი არგენტინელი გასტონ გაუდიო და მერვე — თანამემამულე რადეკ შტეპანეკი.

ასე რომ, ვერავინ იტვყის, ბერდიხმა დაუმსახურებლად გაიმარჯვაო.

ბერდიხი თამაშის შემდეგ იმდენად იყო გახარებული, რომ თავის ემოციებს ვერ მალავდა.

„ეს მართლაც დიდებული გრძნობაა. ვფიქრობ, ამაზე კარგად სეზონის დამთავრება ჩემთვის წარმოუდგენელი იყო“ — განაცხადა მან პრესკონფერენციაზე.

რაც შეეხება ლიუბიჩიჩს, მან შეძლო იმ მთავარი მიზნის მიღწევა, რის გამოც პარიზში ჩავიდა — შანხაიში გასამართ მასტერსის თასზე თამაშის უფლება მოიპოვა. მისი მთავარი საზრუნავი სწორედ ამ ტურნირისთვის მზადებაა.

WTA
ფილადელფია. აშშ
მაგარსაფარი
საპრიზო 585 000 $

ფინალი

ამელი მორესმო (საფრანგეთი, 3) — **ელენა დემენტიევა** (რუსეთი, 4) — 7:5 2:6 7:5

ფილადელფიელ მაყურებელს ძალიან გაუმართლა. ამელი მორესმომ და ელენა დემენტიევამ მართლაც დიდებული სანახობა აჩვენეს. ორივე ჩოგბურთელს, რომლებიც ლოს ანჯელესში მასტერსის თასზე იასპარეზებენ, ძალიან უნდოდა ტურნირის მოგება, რათა კარგი ფსიქოლოგიური განწყობა შეექმნა წლის უკანასკნელი ტურნირის დაწყებამდე.

მათი მატჩი საინტერესოდ წარიმართა. თუმცა თავიდან ქალებისთვის დამახასიათებელი ჩოგბურთი გაჩაღდა — მეტოქეები ვერ ინარჩუნებდნენ თავიანთ მოწოდებებს და ბევრ ორმაგ შეცდომას უშვებდნენ. შესაბამისად, მათ რამდენიმე ბრეიკი გაცვალეს. ასეთ ბრძოლაში ფრანგს უფრო გაუმართლა, ბოლო, მეთორმეტე გეიმში, დემენტიევას მოწოდებაზე მან კიდევ ერთი ბრეიკი გააკეთა და დაწინაურდა.

მეორე სეტში დემენტიევა დიდებულად ათამაშდა. მან მოწოდების გამოსწორება შეძლო (რაც უმთავრესი მისი პრობლემაა), თამაში დაალაგა და მეორე სეტი ადვილად მოიგო.

მესამე სეტი ისე დაიწყო, თითქოს მეორე გრძელდებოდა. დემენტიევა კვლავ ბრწყინვალედ თამაშობდა და მალე 4:1 დაწინაურდა. თუმც აქ, როგორც სჩვევია, რუსმა ბოლომდე ვერ გამოამჟღავნა თავისი პოტენციალი, დაიწყო ბევრი შეცდომის დაშვება, ფრანგმა კი, მიუხედავად ყველაფრისა, ბოლომდე იბრძოლა და დასაჩუქრდა კიდეც.

მორესმომ გადამწყვეტი სეტიც მეთორმეტე გეიმში მოიგო და ფილადელფიაში მესამედ შეძლო გამარჯვება.

„არ ვიცი, მეორე სეტში რა დამემართა, — თქვა ფრანგმა თამაშის შემდეგ — ჩემი რიტმი დავკარგე. მესამე სეტში 4:1-ზე ვიფიქრე, ასე ადვილად ვერ წავაგებ-მეთქი, ნელ-ნელა ისევ დავიბრუნე ჩემი თამაში, მეტოქე მაქსიმალური ზეწოლის ქვეშ მოვაქციე და გავიმარჯვე კიდეც“.

ძახა ლომაშვილი

ერთი თასის რვა მაძიებელი

ლოს ანჯელესი — მასტერსის თასი

8 ნოემბერს აშშ-ს ქალაქ ლოს ანჯელესში მასტერსის თასის გათამაშება დაიწყება. მოგეხსენებათ, ეს სეზონის უკანასკნელი ტურნირია, რომელშიც წლის რვა საუკეთესო ჩოგბურთელი მიიღებს მონაწილეობას.

ტურნირის მონაწილენი ორ ჯგუფად იყოფიან და ყოველი ჩოგბურთელი სამ-სამ თამაშს ატარებს. ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო გადის ნახევარფინალში, რომელში გამარჯვებულნიც ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან. ჯგუფური თამაშები სამშაბათიდან პარასკევამდე გაიმართება, ნახევარფინალები შაბათსაა დაგეგმილი, ფინალი კი კვირას ჩატარდება.

ტურნირის სამ მილიონ დოლარიანი საპრიზო ფონდისთვის წლეულს სამი რუსი (მარია შარაპოვა, ელენა დემენტიევა და ნადია პეტროვა), ორი ფრანგი (ამელი მორესმო და მარი პირსი) და თითო ამერიკელი (ლინდსი დევენპორტი), ბელგიელი (კიმ კლაისტერსი) და შვეიცარიელი (პატი შნიდერი) შეეცილებიან ერთმანეთს.

უნდა აღინიშნოს, რომ შარშანდელთან შედარებით წლევანდელ მასტერსის თასის გათამაშებაში იკლო რუსი ჩოგბურთელების რაოდენობამ (ოთხნი იყვნენ), ხოლო ბოლო წლების განმავლობაში პირველად იქნება მხოლოდ ერთი ამერიკელი. გარდა ამისა, პატი შნიდერი პირველი შვეიცარიელია მარტინა ჰინგისის შემდეგ, რომელიც ამ ტურნირზე იასპარეზებს.

წლევანდელი გათამაშება კიდევ იმითაცაა საინტერესო, რომ აქ იმ ჩოგბურთელის ვინაობა გაირკვევა, რომელიც წელიწადს რეიტინგის სათავეში ჩაამთავრებს. ამისთვის ლინდსი დევენპორტი და კიმ კლაისტერსი იბრძოლებენ, რაც ტურნირს დამატებით ინტრიგას სძენს.

ახლა კი თითოეული ჩოგბურთელის წლევანდელი მაჩვენებელი გავიხსენოთ და ვივარაუდოთ, რა შენსები აქვთ მათ ლოს ანჯელესში:

ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1) — წლეულს ამერიკელის მთავარ იარაღად სტაბილური გამოსვლა იქცა, რის გამოც ის რეიტინგში ამჯერად პირველ ადგილზე იმყოფება. მართალია, მან დიდი მუზარადის ვერც ერთი ტურნირის მოგება ვერ შეძლო, მაგრამ ორჯერ მეოთხედფინალში (საფრანგეთი, აშშ), ხოლო თითოჯერ ნახევარფინალში (ავსტრალია) და ფინალში (უიმბლდონი) გავიდა. გარდა ამისა, მან წლეულს ექვსი სხვადასხვა ტურნირი და 58 თამაში მოიგო, რაც შთამბეჭდავია.

კიმ კლაისტერსი (ბელგია, 2) — კლაისტერსმა სეზონის მეორე ნახევარი უმაღლეს დონეზე ჩაატარა. მან სწორედ ამ პერიოდში შეძლო დიდი მუზარადის ბოლო ტურნირის, აშშ-ის ღია პირველობის მოგება. გარდა ამისა, ბელგიელმა წლეულს ყველაზე მეტი, 9 ტურნირი მოიგო. ჯერჯერობით ლოს ანჯელესში გამარჯვების ერთადერთ კანდიდატად სწორედ ის მოიაზრება და თუ ეს მოახერხა, წელიწადს რეიტინგის სათავეში ჩაამთავრებს.

მარია შარაპოვა (რუსეთი, 3) — შარაპოვა ალბათ დევენპორტისა და კლაისტერსის მთავარი მოწინააღმდეგე იქნება. იგი წლეულს აუცილებლად შეეცდება ტიტულის დაცვას (შარშან ფინალში მან სერენა უილიამსი დაამარცხა). გარდა ამისა, დევენპორტის გარდა მარია ერთადერთი ჩოგბურთელია, რომელიც წლეულს რეიტინგს სათავეში მოექცა და პირველი ნომერი იყო 7 კვირის განმავლობაში. მართალია, შარაპოვამ ვერ შეძლო დიდი მუზარადის ვერც ერთი ტურნირის მოგება, მაგრამ ავსტრალიაში, უიმბლდონსა და აშშ-ში ის საუკეთესო ოთხეულში სტაბილურად ხვდებოდა და თან სამჯერვე მომავალ ჩემპიონთან დამარცხდა.

მარი პირსი (საფრანგეთი, 4) — 30 წლის ფრანგს წლეულს თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნა. ასე სტაბილურად მას არასოდეს უასპარეზია. მან სან დიეგოსა და კრემლის ტურნირები მოიგო, გარდა ამისა, ითამაშა საფრანგეთისა და აშშ-ს ღია პირველობების ფინალებში.

ამელი მორესმო (საფრანგეთი, 5) — მორესმომ თავისთვის ჩვეული სეზონი ჩაატარა. იგი საკმაოდ სტაბილურად თამაშობდა და რამდენიმე დიდი ტურნირის გადამწყვეტ ეტაპებს მიაღწია. გარდა ამისა, ლოს ანჯელესში ის ალბათ ყველაზე კარგ ხასიათზე ჩავა, ვინაიდან კვირას ფილადელფიის ტურნირი მოიგო.

პატი შნიდერი (შვეიცარია, 6) — პატიმ წლეულს ძალიან კარგად ითამაშა, თან მისთვის უჩვეულოდ, მთელი სეზონის განმავლობაში. მას ლოს ანჯელესში მოსახვედრად განსაკუთრებით ცინცინატში გამარჯვება და ციურიხისა და ლინცის ტურნირების ფინალში გასვლა დაეხმარა.

ნადია პეტროვა (რუსეთი, 7) — 23 წლის რუსმა წლეულს კარიერის საუკეთესო სეზონი ჩაატარა — თითქმის ყველა ტურნირზე, სადაც მან იასპარეზა, მინიმუმ მეოთხედფინალში გავიდა, რაც მისოკის ლოს ანჯელესის წასასვლელ საგზურად იქცა.

ელენა დემენტიევა (რუსეთი, 8) — დემენტიევამ ყველაზე ბოლოს მოიპოვა მასტერსის თასზე ასპარეზობის უფლება. ელენამ წლეულს რამდენიმე შთამბეჭდავი ტურნირი ჩაატარა და თითქმის ერთადერთი ჩოგბურთელია, რომელმაც მარია შარაპოვას გარდა (მას არ შეხვედრია) ყველა უმაღლესი დონის ჩოგბურთელს მოუგო. ამიტომ თუ რუსმა შეძლო თავისი უმთავრესი სისუსტის — მოწოდების ასე თუ ისე გამოსწორება მაინც, მეტოქე ყველაზე მეტ სიურპრიზსა და საფრთხეს სწორედ მისგან უნდა ელოდეს.

ძახა ლომაშვილი

ჯგუფების შემადგენლობა

მწვანე ჯგუფი	შავი ჯგუფი
1 ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1)	1 კიმ კლაისტერსი (ბელგია, 2)
2 მარია შარაპოვა (რუსეთი, 3)	2 მარი პირსი (საფრანგეთი, 4)
3 ამელი მორესმო (საფრანგეთი, 5)	3 პატი შნიდერი (შვეიცარია, 6)
4 ნადია პეტროვა (რუსეთი, 7)	4 ელენა დემენტიევა (რუსეთი, 8)

6 ნოემბერი

ანაჰაიმი 3:4 მინესოტა

0:2 3:1 0:0 0:0 0:1

ბულიტების სერიაში

0:1 როლსტონი (3), 0:2 მ. კოივუ (18), 1:2 კონოპკა (23), 1:3 ველიო (26), 2:3 გეცლაფი (29), 3:3 გეცლაფი (36), 3:4 გადამწყვეტი ბულიტი: რობიტაილი

ბულიტების სერიაში „ანაჰაიმის“ ფინელმა სნაიპერმა ტეემუ სელიანემ გოლის შემდეგ ყვანჯი მუხლზე მიიდო და ავტომატით სროლა განასახიერა, შემდეგ კი ხელთათმანი აისროლა ჰაერში. თუმცა ეს თეატრალური ჟესტი ნაადრევი აღმოჩნდა. მისმა პარტნიორებმა დანარჩენი ბულიტები გააცუდეს. აი, საკუ კოივუს ძმამ, მიიკუმ (მანამდე უშუალოდ თამაშში თავისი პირველი ნჰლ-ური შაიბა შეაგდო) და რენდი რობიტაილმა თავიანთი შანსები გამოიყენეს და საბოლოოდ მოგება „მინესოტას“ ხვდა წილად.

სენტ ლუისი 1:4 დეტროიტი

0:1 1:2 0:1

0:1 შენაჰანი (11), 0:2 ჰოლმსტრიომი (22), 1:2 სილინჯერი (25), 1:3 ჰოლმსტრიომი (29), 1:4 ზეტერბერგი (42)

ახალი წესები დეტროიტელ ტომას ჰოლმსტრიომისთვის მისწრებაა. მოგეხსენებათ, შვედი კარის სიახლოვეს თამაშობს — მეკარისგან ასხლეტილი შაიბისთვის იბრძვის და დამატებაზე გააქვს ხოლმე.

ადრე ჰოლმსტრიომს დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მცველები და მათი მუჯლუგუნებისგან მოსვევნება ჰქონდა დაკარგული, ახალმა წესებმა კი უკანახაზელებს ხელ-ფეხი შეუკრა. ისინი ახლა ძველებურად ვეღარ უმკლავდებიან ფორვარდებს და ჰოლმსტრიომსაც მეტი რაღა უნდა, წლეულს გაცილებით შედეგიანად თამაშობს.

რეგულარული ჩემპიონატი

კროსბის აღიარებამ რუსი გააცელა

ალექსანდრ ოვეჩკინი ყველას აოცებს

„ახლა ველარაფერს მაკლებენ. მხოლოდ ცდილობენ, შორიდან დარტყმულები დაბლოკონ“ — აღიარა ჰოლმსტრიომა „სენტ ლუისთან“ მატჩის შემდეგ, რომელშიაც მან ორი შაიბა გაიტანა.

ვაშინგტონი 5:4 ტორონტო

2:2 2:1 1:1

1:0 მიულერი (7), 2:0 პეტინგერი (14), 2:1 მაკეიბი (19), 2:2 ონილი (20), 3:2 უილსი (22), 3:3 ონილი (33), 4:3 ოვეჩკინი (36), 5:3 ოვეჩკინი (47), 5:4 ველვუდი (53)

ალექსანდრ ოვეჩკინი კვლავ აოცებს „ვაშინგტონის“ ფანებსა და გუნდის თავკაცობას. მან უკვე მეოთხე დუბლი შეასრულა ამ სეზონში, მთლიანობაში კი 14 თამაშში 15 ქულა (აქედან 10 შაიბა) მიითვალა.

როგორც ჩანს, ოქტომბერში სიდნი კროსბის საუკეთესო ახალბედად აღიარებამ რუსს ბრძოლის ჟინი შემატა და ნოემბერში გაორმაგებული ენერგიით იბრძვის.

„როცა დარტყმის შანსი მაქვს, აუცილებლად ვიყენებ. მიყვარს გოლების გატანა, მაგრამ უფრო მიყვარს, როცა ჩემი გუნდი იგებს“ — თქვა მან.

სხვათა შორის, ალექსანდრს გოლების გატანის გარდა გამართული, ახალბედასთვის უჩვეულოდ კარგი ინგლისურიც სცოდნია.

ჩიკაგო 2:1 ფინიქსი

0:0 0:1 1:0 1:0

0:1 დოუნი (39), 1:1 ბურკი (43), 2:1 სიბრუკი (65)

„ჩიკაგოშიც“ დებიუტანტის თამაშით ხარობენ. ზედიზედ მეორე მატჩია, მცველ ბენ ბრეიმს, ვინც იმებში გადმოვიდა ფილადელფიიდან.

საუმცველ ლიგიანი ბომბარდირები:

ალფრედსონი (ოტავა) 26 (14+12), სტალი (კაროლინა) 26 (11+15), სპეცა (ოტავა) 25 (5+20), ფორსბერგი (ფილადელფია) 25 (4+21), ჰიტლი (ოტავა) 24 (11+13), განიე (ფილადელფია) 23 (15+8), იავრი (რეინჯერსი) 23 (14+9), ტორნტონი (ბოსტონი) 23 (6+17), პროსპალი (ტამპა) 20 (8+12), ლეკავალიე (ტამპა) 19 (10+9)

ალექსანდრ ოვეჩკინმა (მარჯვნივ) „ტორონტოსთან“ კიდევ ერთი დუბლი შეასრულა

აღმოსავლეთი						
ატლანტიკა						
რეინჯერსი	15	8	4	3	48:37	19
ფილადელფია	12	8	3	1	56:41	17
ნიუ ჯერსი	14	6	6	2	43:51	14
აილენდერსი	14	6	8	0	39:55	12
პიტსბურგი	14	3	6	5	48:63	11
ჩრდილო-აღმოსავლეთი						
მონრეალი	15	11	3	1	48:51	23
ოტავა	13	11	2	0	64:28	22
ბოსტონი	16	7	5	4	57:55	18
ტორონტო	15	7	6	2	54:55	16
ბუფალო	14	7	7	0	44:48	14
სამხრეთ-აღმოსავლეთი						
კაროლინა	13	10	2	1	54:35	21
ტამპა	15	7	6	2	46:43	16
ფლორიდა	15	6	7	2	33:41	14
ვაშინგტონი	14	6	8	0	34:60	12
ატლანტა	14	4	9	1	42:56	9

დასავლეთი						
ცენტრი						
დეტროიტი	16	13	2	1	63:33	27
ნეშვილი	13	8	2	3	38:37	19
ჩიკაგო	15	5	10	0	41:62	10
კოლუმბუსი	15	4	11	0	28:50	8
სენტ ლუისი	14	2	9	3	40:62	7
ჩრდილო-დასავლეთი						
ვანკუვერი	15	10	3	2	50:43	22
მინესოტა	16	8	6	2	45:35	18
ედმონტონი	15	8	6	1	49:46	17
კალგარი	16	7	7	2	35:41	16
კოლორადო	13	7	4	2	55:43	16
წყნარი ოკეანე						
ლოს ანჯელესი	15	10	5	0	52:41	20
ანაჰაიმი	16	7	6	3	47:46	17
დალასი	14	8	5	1	49:48	17
სან ხოსე	15	8	6	1	42:49	17
ფინიქსი	17	7	8	2	45:45	16

დიდი მწვრთნელ-მენეჯერის დიდი საიდუმლო

ნჰლ-ს მენეჯერმა ჟაკ დემერმა დიდი საიდუმლო გაგვიმხილა, როცა თქვა, წერა-კითხვის უცოდინარი ვარო. არადა, ჟაკ დემერი ნჰლ-ს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელი იყო. 1993 წელს მან „მონრეალ-კანადიენსს“ სტენლის თასი მოაგებინა. იგი ავარჯიშებდა სხვა ძალზე წარმატებულ გუნდებსაც, მათ შორის დეტროიტის „რედ უინგზს“ და ფლორიდის „ტამპა ბეი ლაიტნინგს“ შემდეგ კი აგერ უკვე 15 წელიწადი გასულა, რაც ნჰლ-ს გენერალური მენეჯერია.

მთელი ამ დროის განმავლობაში ჟაკ დემერი, რომელიც 61 წლის მოყრილა, საგულდაგულოდ მალავდა თავის საიდუმლოს, რომ მან არც წერა იცოდა და არც კითხვა.

მან თავის საიდუმლოს მხოლოდ ახლა ახადა ფარდა, როცა ავტობიოგრაფიული წიგნი გამოსცა.

ამ წიგნის ავტორი მონრეალელი ჟურნალისტი მარიო ლეკლერი გახლავთ. წიგნი ფრანგულადაა დაწერილი და მისი სათაურია „ჟაკ დემერი ანი-დან ჰე-მდე. მასში 26 თავია და ყოველი თავი ანბანის 26 ასოდან ერთით იწყება.

წიგნის პრეზენტაციასთან დაკავშირებით გამართულ პრეს-კონფერენციაზე ჟაკ დემერი თავისი უცოდინარობის ახსნას ცდილობდა.

დემერი კვებეკის პატარა ქალაქში ცხოვრობდა. მამა ალკოჰოლისტი იყო და წამდაუწუმ ჟაკის დედას სცემდა. ჟაკი მუდამ შეშინებული იყო, რათა მასაც არ მოხვედროდა. ღამღამობით მის თვალს რული არ ეკარებოდა. სკოლაში კი დადიოდა, მაგრამ წერა-კითხვა მაინც ვერ ისწავლა.

ჟაკ დემერი, უწიგნური კია, მაგრამ თავისი ვებგვერდი აქვს

ჟაკ დემერი

„შეეშვით თქვენს შვილებს. ნუ სცემთ მათ. ისინი დაუცველნი არიან. ნუ გალახავთ მათ დედებს, — ამბობდა პრეს-კონფერენციაზე ჟაკ დემერი — ვფიქრობ, რომ ასეთი მუდმივი შიშის გამო მე უბრალოდ დავინვალიდდი“.

ფსიქოლოგმა ჯუდი ბრენდისმა, ვინც გაუნათლებობის პრობლემებზე მუშაობს, კანადის საინფორმაციო სააგენტოსთან მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მსგავსის პრობლემების უმრავლესობა საერთოდ შეუმჩნეველი რჩება და ძნელია რაიმე პროგნოზის დასმა. ამიტომაც მწვრთნელის აღიარება განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია.

„სამწუხაროა, რა თქმა უნდა, რომ ჟაკს ასეთი პრობლემა აქვს, მაგრამ აი, რა არის საინტერესო — ცნობილმა და ფრიად წარმატებულმა მწვრთნელმა ამის თაობაზე საუბარი დაიწყო“ — თქვა ჯუდი ბრენდისმა.

ჟაკ დემერიც, რომელმაც მოახერხა თავისი საიდუმლოს წლობით დაფარვა და ნჰლ-ში წარმატებული კარიერის მიღწევა, აღიარებს, არავითარი შანსი არ მქონდა სამსახურში დარჩენისა, თუ ჩემს საიდუმლოს ნჰლ-ში შეიტყობდნენ.

„ახლა სამსახურში არავითარ შემთხვევაში არ მიიღებენ მას, ვინც იტყვის, არც წერა ვიცი და არც კითხვა, მაგრამ კარგი მწვრთნელობა შემიძლიაო. ასე არ ხდება, ხალხო!“ — თქვა ჟაკმა.

ის, რომ მან წერა-კითხვა არ იცოდა, მხოლოდ რამდენიმე კაცისთის იყო ცნობილი. მისი ცოლიც კი, როგორც წიგნშია ნათქვამი, არაფერს ეჭვობდა იმ დრომდე, მანამ ერთ მშვენიერ დღეს შეამჩნევდა, რომ ქმარს ქვითრის გამოწერაც არ შეეძლო. ის ფაქტი, რომ ჟაკ დემერი თავის კარიერაში ესოდენ დაწინაურდა და იქ ასე დიდხანს გაძლო, ბევრს აკვირვებს. ნჰლ-ის გენერალურმა მენეჯერმა წერა-კითხვა არ იცის და ეს როგორ მოახერხა, ასეთი კარიერა რომ გაიკეთაო, გაკვირვებულნი კითხულობენ ისინი.

თავად ჟაკ დემერმა წიგნში და პრესკონფერენციაზეც, ასე ახსნა — მე განათლებულ მდივნებსა და თანაშემწეებს ვიყვანდი, რომლებიც ჩემი კარნახით კონტრაქტებს წერდნენ, თან იქვე ვამბობდი, რა ჭქნა, მე ინგლისური კარგად არ მეხერხება-მეთქი.

„მე ნჰლ-ს ნამდვილი გენერალური მენეჯერი არც არასოდეს ვყოფილვარ“, — აღიარებს თავის წიგნში ჟაკ დემერი. — მაგრამ როგორც კი ლაპარაკის შესაძლებლობა მეძლეოდა, ამას კარგად ვახერხებდი და ჩემი აზრით სწორედ ეს მშველოდა“.

და მაინც, რატომ გაამხილა ჟაკ დემერმა თავისი ცხოვრებისეული საიდუმლო? ეს კითხვა პრეს-კონფერენციაზე მისულ ყველა ჟურნალისტს აინტერესებდა.

ახლა უკვე ყოფილმა მწვრთნელმა და მენეჯერმა ეს ყოველივე ასე ახსნა:

„ახლა ჩემი სამსახურიდან დაითხოვნა აღარავის შეუძლია, რადგან ისინი მე ტკივილს ველარ მომაყენებენ“. მაგრამ იგი მრავალი წლის განმავლობაში შიშობდა, რომ სამსახურიდან დაითხოვდნენ, დაამცირებდნენ და შეურაცხყოფას მიაყენებდნენ.

და კიდევ ერთი მიზეზი ამ აღიარებისა — სტატისტიკა აღასტურებს: კვებეკის პროვინციაში ახლა წერა-კითხვის უცოდინარი მილიონამდე კაცი ცხოვრობს.

„ჩემი გულახდილობითა და საიდუმლოს ფარდის ახდით მინდა, რომ თუნდაც ათ მათგანს დავეხმარო“, — ასე ახსნა დემერმა თავისი გულახდილობის მოტივი.

კონცერტი დედამიწის კენწეროსთან

დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე (8848), იგივე ჯომოლუნგმასა და საგარმატხაზე ხალხი ნაირგვარ რეკორდს ამყარებს. ერთნი ამ მწვერვალზე ასვლათა რაოდენობით ცდილობენ თავის გამოჩენას, მეორენი სწრაფად არბენა-ჩამორბენაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, მესამენი დედამიწის კენწეროში ხანგრძლივად ყოფნის რეკორდის გაუმჯობესებას ცდილობენ...

ამ მწვერვალზე გამოჩნდნენ პარაპლანერისტებიც, პარაშუტით მოხტუნავეებიც, თხილამურებით დამშვებნიც და მფრინავებიც, რომლებიც ან გარს უფრენენ დედამიწის სახურავს, ან მასზე დაჯდომას ლამობენ.

ამ მწვერვალს კიდევ მრავალი სახის რეკორდსმენი ჰყავს.

ევერესტს მუსიკოსები აკლდა და თავიანთი ინსტრუმენტებით ისინიც გამოჩნდნენ მწვერვალზე.

მართალია, მუსიკოსები ზემოთ არ აბლოტებულან, მაგრამ ყველაზე დიდ სიმაღლეზე კონცერტის ჩატარების მხრივ კი თავი გამოიჩინეს. ეს იყო ბრიტანეთის მუსიკალური ჯგუფი THE HIDDEN, რომლის წარმომადგენელიც ამბობს, ზღვის დონიდან ჩვენ ყველაზე დიდ სიმაღლეზე კონცერტის გამართვის მსოფლიოს რეკორდი დავამყარეთო.

ეს მოხდა ევერესტის საბაზო ბანაკში, 5545 მეტრის სიმაღლეზე, რაც კავკასიონზე აღმართული ევროპის უმაღლეს მწვერვალ იალბუზის სიმაღლეა.

ამ მუსიკოსთა ჯგუფს ეკუთვნის სხვა მსოფლიოს რეკორდიც — კონცერტის გამართვის ხანგრძლივობაში. მათ ამგვარი რეკორდიც ამ შემოდგომაზე, სექტემბერში დაამყარეს, ლონდონის რაიონ სოჰოს ბარში, სადაც შეუსვენებლივ 44 საათის განმავლობაში უკრავდნენ.

ახლა ამ მუსიკოსებმა ევერესტის საბაზო ბანაკში 40-წუთიანი კონცერტი ჩაატარეს, მსმენელად კი ასამდე მთამსვლელმა მოიყარა თავი.

ამ კონცერტის მიზანი არა რეკორდის დამყარება, არამედ ნეპალში შეიარაღებული კონფლიქტისას დაშავებული ბავშვებისთვის დასახმარებელი თანხის შეგროვება იყო.

ჯგუფის ლიდერი ოზ ბეილდონი ამბობს, რომ თითქმის 30 ათასი ფუნტი (50 დოლარზე მეტი) შევაგროვეთო.

მისივე თქმით, ეს ფული მოხმარდება ნეპალის დედაქალაქ კატმანდუს აღმოსავლეთით ბავშვებისთვის სპეციალური ცენტრის მშენებლობას.

სამართალდამცავთა თქმით, ნეპალში ცხრაწლიანი კონფლიქტის განმავლობაში თითქმის 400 ბავშვი მოკლეს, ხოლო ათასობით მოზარდი მშობლებთან ერთად ლტოლვილი გახდა.

სულ მაოისტთა მცდელობას, რომ ნეპალში არსებული მონარქიის ნაცვლად თავიანთი რესპუბლიკა ჩამოეყალიბებინათ, 11 ათასი კაცი შეეწირა.

ავთანდილ ჭყვიშელი

THE HIDDEN-ის კონცერტი ევერესტის საბაზო ბანაკში

კრივი

რაჰმანი: ვიტალი კლიჩკომ ერთი წლის სიცოცხლე მომპარა

ვიტალი კლიჩკომ მუხლის ტრავმის გამო უარი თქვა ჰასიმ რაჰმანთან ბრძოლაზე, რომელიც ამ უქმეებზე უნდა გამართულიყო.

ცნობილმა პრომოტერმა ბობ არუმმა, რომელიც კლიჩკოსა და რაჰმანს შორის გასამართ ბრძოლაზე ფლობს ყველა უფლებას უკრაინელის ტრავმის შესახებ შემდეგი განაცხადა:

„მე ვიყავი დარბაზში და მის ვარჯიშს ვუყურე. კლიჩკო ვარჯიშის დროსაც კი მუხლზე სპეციალურ სახვევს ატარებდა. როცა უკან იხევდა ან სწრაფად მოძრაობდა, კარგად ჩანდა, რომ ვიტალის მუხლი ვერ უძლებდა დატვირთვას“.

პრომუტერმა ისიც თქვა, რომ თავად კლიჩკოს სახვევით რინგზე გასვლის იმედი ჰქონდა, თუმცა სპარინგის დროს მიხვდა, რომ ეს ვერ უშველიდა.

„ის იმედგაცრუებულია, — ამბობს არუმი, მაგრამ კლიჩკო ნამდვილად ვერ გავა რინგზე თუ იქ რიგიანად ვერ იმოძრავებს“.

არუმის სიტყვებით, კლიჩკო — რაჰმანის ბრძოლა წლეულს ნამდვილად აღარ ჩატარდება. პრომოუტერს სავარაუდო თარიღის დასახელებაც არ შეუძლია, თუ როდის შეიძლება ამ ბრძოლის გამართვა.

ყოველივე ამას დიდი გამოხმაურება მოჰყვა რაჰმანის ბანკიდან. რაჰმანმა კლიჩკო დაადანაშაულა, ამით ერთი წლის სიცოცხლე მომპარაო.

„ის მთელი წელი გამირბოდა. ეს არ შეიძლება შემთხვევითობა იყოს. მე არ მაქვს საჩემპიონო ქამარი, მაგრამ მე უფრო ვიქცეოდი ჩემპინივით, ვიდრე ის. მან ჩემთან ბრძოლაზე ოთხჯერ თქვა უარი. ეს გაუგონარია“ — თქვა რაჰმანმა.

ისე, რაჰმანის ეს აღშფოთება კიდევ იმიტომაა გასაგები, რომ მან ცოტა ხნის წინ თავი გაკოტრებულად გამოაცხადა. იმ ვალების გადახდას, რომელიც მას საგადასახადო სამსახურის მართებს, სწორედ კლიჩკოსთან ბრძოლის შედეგად მიღებული ჰონორარიდან აპირებდა.

კახა ლომაყვილი

ჭადრაკი

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

სტამბოლი. თურქეთი. 8 - 25 ნოემბერი

ცხრა ქართველი ოსმალეთში მსოფლიოს შეერკინება

დღეს თურქთა დიდ ქალაქ სტამბოლში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი იწყება. გათამაშებაში 56 ქვეყნის 246 სპორტსმენი გამოვა და სულ 13 ტური ჩატარდება.

სალომე მელია

სტამბოლში საქართველოდან 9 მოჭადრაკე გაემგზავრა: ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, სოფიკო ხუხაშვილი, სალომე მელია, მაკა ფურცელაძე, დავით ჯოჯუა, თორნიკე სანიკიძე, მალხაზ სულაშვილი და დავით მაღალაშვილი.

ჩვენი მოჭადრაკეები, როგორც ყოველთვის, ფავორიტებად არიან მიჩნეულნი.

ლაშა გეგეჭკორი

ოლიმპიზმი

50 მილიონი — ერთ ღარში

2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მოსურნე ბორჯომს ამ უფლების მოსაპოვებლად მრავალი ბაზის აშენება და არაერთი მილიონის დახარჯვა მოუწევს, მაგრამ, ცხადია, არც ჩვენი მეტოქეები არიან გულხელდაკრეფილნი, მათ შორის სოჭშიც.

ირკვევა, რომ აქ ბობსლეის ტრასის მშენებლობა 50 მილიონი დოლარი დაჯდება.

„სავარაუდოდ ტრასის მშენებლობა ორ წელიწადს გაგრძელდება. 30 მილიონი უშუალოდ 1200-1400 მეტრის სიგრძის ღარის მშენებლობა დაჯდება, ხოლო დანარჩენი მიმდებარე ინფრასტრუქტურაზე დაიხარჯება.

როგორც „სოჭი-2014“-ის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები იუწყებიან, ტრასის საექსპლუატაციოდ გადაცემისთანავე, სოჭი უმალ მიიღებს ბობსლეიში მსოფლიოს თასის ერთ-ერთი ეტაპის გათამაშების მასპინძლობის უფლებას.

უიარაღო აგენტები თეთრ ოლიმპიადაზე

უცხო ქვეყანათა სპეცსამსახურების წარმომადგენლები ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ვერ მიიღებენ უფლებას იარაღის სატარებლად — თქვეს იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა.

იარაღის ტარების უფლება მხოლოდ VIP-ის პერსონათა პირად მცველებს ექნებათ. იტალიის სამართალდამცავი ორგანოები, მათივე განცხადებების მიხედვით, იმედოვნებენ იმ გამოცდილებაზე, რომელიც დაეფუძნა რომის პაპ იოანე პავლე მეორეს დაკრძალვის ცერემონიალის უსაფრთხოებას.

ოლიმპიური ზავი სატურინოდ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ თავის წევრ ქვეყნებს მოუწოდა, რომ გაისად ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დღეებში, 10-დან 26 თებერვლამდე საღვთო ზავი — ეკეხერია დაიცავითო.

თავის სხდომაზე გენერალურმა ასამბლეამ კენჭისყრის გარეშე მოიწონა იტალიის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს „მშვიდობის დაცვას და ნათელი მომავლის მშენებლობას სპორტისა და ოლიმპიური იდეალების ცხოვრებაში გატარების გზით.“

რეზოლუცია, რომლის თანაავტორებიც არიან გაეროს წევრი ქვეყნები, მოგვიწოდებს „ტურინის ოლიმპიური თამაშების დღეებში უხიფათო გადაადგილებისა და მშვიდობიანი ასპარეზობისთვის“.

იტალიელებს პირდებიან...

თითოეული იტალიელი სპორტსმენი, რომელიც გაისად ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალს მოიპოვებს, ჯილდოდ 156 ათას დოლარს მიიღებს.

ვერცხლის პრიზიორები 65, ხოლო ბრინჯაოს მედალოსნები 40 ათასი დოლარით დაჯილდოვდებიან.

სარბიელი

სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ ამკრეფ-ოპერატორს

მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

ორი მარათონი, ორი კენიელი

აი, უქმეების ორი მარათონი. ნიუიორკელი ხასიდი ებრაელი უცქერს ბრუკლინის ქუჩებზე მიმქროლავ ხალხს. ამ განთქმული მარათონის გამარჯვებული კენიელი პოლ ტერგატი შეიქნა. იგი ზედიზედ მეცხრე აფრიკელია, ნიუ იორკის მარათონში რომ იმარჯვებს. ათენის კლასიკური მარათონიც მისმა თანამემამულემ ჯეიმს საინამ მოიგო. საინამ ქალაქ მარათონიდან ათენის ცენტრამდე 2 საათს, 10 წუთსა და 4 წამს ირბინა.

AFP ნიუ იორკიდან

AFP ათენიდან

AFP მადრიდიდან

ტიგაობა დაიწყო

მოვიდა ზამთარი და გახურდა ბობსლეი-ციგაობა. მსოფლიო თასის ციგაობის ეს ეტაპი, სიგულდაში რომ მიმდინარეობს, რუს ალბერტ დემჩენკოს მოუგია.

AFP სიგულდიდან

მოწყალების დანი

რონალდო საავადმყოფოში ყოფილა შემოწმებაზე. მადრიდის რუბერ კლინიკის მოწყალების დანი კი რიგში ჩამდგარნი ავტოგრაფები გაინდაო. მკურნალს უარს ხომ არ ეტყვ...

AFP ჟენევიდან

დენისი გამოჩნდა

გახსოვთ დენის როდმანი? ახლა ფინეთში ჩასულა რაღაც საქმეებზე. იქაურ ლიგაში კალათბურთი წაუთამაშია და პრესკონფერენციაც გაუმართავს. ძველებურად რკინაკავეული აქვს ასხმული.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპაჭიდლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი შამაზ მიბრიჯული
პასუხისმგებელი რედაქტორი ალექსანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა შუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: ზაზა თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ეგაშკანელი, სოფო კოტორაშვილი, ლადო ხაჩერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ დალენკაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნაზელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, ბაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ჭინჭლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge